

ბაია ბასილაძე

ცისფერყანზელთა

მისამართი ვლარელა



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2022

ელენე დარიანის ციკლის ლექსებზე ამ  
ბოლო დროს ბევრი რამ ითქვა. მწვავედ და-  
ისვა პრობლემა: ვინ არის ამ შედევრების აგ-  
ტორი – ელენე ბაქრაძე თუ პაოლო იაშვილი?  
ამ საინტერესო თავსატეხს ეხება წინამ-  
დებარე ლიტერატურული ნარკვევი.

რედაქტორი – ქეთევან თავდიშვილი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

© ბ. ბასილაძე, 2022

გამომცემლობა „ენივალსალი“

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკნიკურის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-250-0

## პაოლო იაშვილი – ცისფერყანწელთა ლიდერი

გამოჩენილი სიმბოლისტი პაოლო იაშვილი პოეტური სიტყვის დიდოსტატია. ქართველ მო-დერნისტთა შორის ის გამოირჩეოდა როგორც ნიჭით, ისე ორგანიზატორული თვისებებით, ქა-რიზმით. იქ, სადაც პაოლო იყო, შეუძლებელია პურის მტედ ვინმე სხვა წარმოედგინათ. მისი ექ-სპრესია, მოელვარე ნიჭი და შესანიშნავი გარეგ-ნობა კიდევ უფრო ზრდიდა მგოსნის ავტორი-ტეტს. პოეტური შედევრების გარდა, მან შექმნა პროზაული შედევრებიც, თუმცა, როგორც მო-დერნისტ-სიმბოლისტი, უფრო მეტ სიმპათიებს მცირე ფორმებისადმი ამჟღავნებდა. ეს ბუნებრი-ვიცაა – სიმბოლიზმი ძირითადად პოეზიისა და მინიატიურის „სამშობლოა“. მგოსანმა კომუნის-ტურ წესება და დიქტატურას ვერ გაუძლო და შავბნელ 1937 წელს თვითმკვლელობით დაასრუ-ლა სიცოცხლე. ბუნებრივია, თვითმკვლელი შე-

რისხეს და აი, როდესაც მისი რეაბილიტაცია მოხდა (სტალინის სიკვდილის შემდგომ), 1950-იან წლებში კიდევაც მოხერხდა მისი ნაწერების გამოცემა. ირაკლი აბაშიძის აზრით, „წინამდებარე კრებული შეიძლება პაოლო იაშვილის მხატვრულ ნაწარმოებთა სრულ კრებულად ჩაითვალოს” (პ. იაშვილი, ერთტომეული, თბილისი, „საბჭოთა მწერალი”, 1959, გვ. X).

მგოსნის ნაწარმოებები შეკრიბა და დასაბეჭდად მოამზადა შალვა დემეტრაძემ (იქვე, II). მასალები დალაგებულია ასეთი თანამიმდევრობით: ლექსები, პოემა, მოთხოვნები, თარგმანები.

ლირიკული ქმნილებები წარმოდგენილია კომუნისტური დიქტატურის პირობებში შემუშავებული წესისამებრ: პირველია ე.წ. „ორთქმავალი” — „ლენინ”, რომელსაც მოჰყვება „მთელი შემადგენლობა”, ოღონდ წინა პლანზე წამოწეულია აქტუალური თემატიკის მქონე ნაწარმოებები და არ არის გათვალისწინებული ქრონოლოგიური მიმდევრობა. ეგ ლექსებია „კოლხიდის პირველ მოსახლეს”, „მიმართვა კოლხიდას” და

ა.ქ. მათში სოციალიზმისა და გამარჯვებული ხალხის წინსკლა და წარმატებაა ასახული; შემდეგ მოდის სერიოზული და მნიშვნელოვანი ლექსები, ხოლო მათში ცალკეა ჩართული „ელე-ნე დარიანის დღიურები” (1915-1924). (იქვე, გვ. 132-146). ამ ქვეთაგში სულ წარმოდგენილია 14 ქმნილება.

## ახალი თვალსაზრისი „დარიანული ციკლის” ლექსებზე

რაკიდა ჩვენი მეცნიერები ძირითადად ამ გა-  
მოცემას იცნობდნენ და ემყარებოდნენ, ხოლო შ.  
დემეტრაძეს სიტყვაც კი არ დასცდენია ელენე  
დარიანის, როგორც ცალკე პოეტის, არსებობაზე,  
მათ დარიანული ლექსებიც პაოლო იაშვილის  
ქმნილებებად შერაცხეს, ელენე დარიანი მგოხ-  
ნის ფსევდონიმად მიიჩნიეს და ამ თვალთახედ-  
ვით იკვლევდნენ ამ შედევრებსაც. ასე შეიქმნა  
წიგნები, დაიწერა მონოგრაფიები, დაიცვეს დი-  
სერტაციები, ამ დისერტაციების შესახებ შეად-  
გინეს დადებითი რეცენზიები და ა.შ. (ლალი  
ავალიანი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ზ. ლომ-  
ჯარია...).

ოდონდ არქივების, მიგიწყებული საგაზეთო  
და საჟურნალო მასალების შესწავლამ გამოავ-  
ლინა მასალები, რომელთა საფუძველზეც შესაძ-  
ლებელი გახდა ეჭვი გაჩენილიყო: ხომ არ გახ-  
ლდათ რეალური პიროვნება ელენე დარიანი,

ხომ არ ყოფილა „ცისფერი ძმობის” დედოფალი ვინმე კონკრეტული ქალბატონი? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ თვით შალვა დემეტრაძესაც კი ცალკე თავად წარმოუდგენია 14 შედევრის მწერივი.

საკითხი ასე დააყენა პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა. მან ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო აღნიშნულ საკითხზე ცალკეული წერილების ბეჭდვა, ხოლო 2001 წელს გამოსცა საბანგებო ნარკვევი „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე”, რომელშიც სრულად და მთკლის ძალით არის განვითარებული ახალი და ერთობ მოულოდნელი თვალსაზრისი (გ.ჯავახიშვილი, ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე, თბილისი, 2001).

თანამედროვე ქართულ მეცნიერებას გაუჭირდა შეჩვეულ აზრთან განშორება და მოულოდნელი მოსაზრების აღიარება. ეს ბუნებრივიცაა და ჩვენს სინამდვილეში ამის პარადიგმა არსებობს. სწორედ იმავე 1990-იან წლებში გამოჩნდა ასევე ახალი და მოულოდნელი თეორია: 107-სტროფია-

ნი სახოტბო პოემა, რომელიც XII საუკუნის  
მოდგაწის იოანე შავთელისა გვეგონა და რო-  
მელსაც თამამად ვუწოდებდით „აბდულმესიას”,  
თურმე ყოფილა 1661 წელს დაწერილი „ქება მე-  
ფისა არჩილისა”. მისი ავტორი გამოდგა გურუ-  
ლი კაცი, შემოქმედის მიტროპოლიტი იაკობი,  
ხოლო ნამდვილი „აბდულმესია” დაკარგულია  
(ბორის დარჩია, იაკობ შემოქმედელი; მურმან  
თავდიშვილი, დიდი როქი ქართულ ლიტერატუ-  
რაში).

ეს ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ძველი  
ქართული ლიტერატურის მკვლევრებს თავზარი  
დასცა. მათ ერთობ გაუჭირდათ ამ თვალსაზრი-  
სის მიღება, რაკიდა ეს ამბავი კარდინალურად  
ცვლის ძველი ლიტერატურის ისტორიას, ეწინა-  
აღმდეგება აქამდე დაცულ დისერტაციებს, ნაშ-  
რომებს, სახელოვან პროფესორ-აკადემიკოსთა  
იდეებს.

სწორედ მსგავსი ვითარება შეიქმნა პროფ. გ.  
ჯავახიშვილის თეორიის ირგვლივაც.

ჩვენი ვალია, შევეცადოთ ობიექტურად გავაა-  
ნალიზოთ ეს ახალი თვალსაზრისი, შევუპირის-  
პიროთ მას საწინააღმდეგო მოსაზრებები, გამო-  
ვიყენოთ ჩვენეული დაკვირვებები და წარმოვად-  
გინოთ სათანადო დასკვნები.

## ვინ იყო ელენე დარიანი?

ჯერ ის არის გასარკვევი, ვინ იყო ელენე დარიანი, არის ეს პაოლო იაშვილის ფსევდონიმი თუ ფსევდონიმია რეალური პირის ელენე ბაქრაძისა? ამჯერად მხოლოდ ის განვსაჯოთ, რაც უარუთქმელი ფაქტია.

1. ელენე ბაქრაძე გახლდათ სწორედ ის **ელლი**, რომელსაც თავის მგზნებარე სასიყვარულო წერილებში ასე ხშირად მიმართავს იაშვილი. ამ წერილების ფოტოასლები გამოქვეყნებულია დასახელებულ მონოგრაფიაში (გ.ჯავახიშვილი, გვ. 158-174).

ეს გახლავთ ფაქტი და ამ ფაქტს ვერსად გავქცევით.

2. შემდეგი ფაქტი ასეთია: პ. იაშვილს ამ ქალბატონთან ჰქონია სასიყვარულო-ინტიმური ურთიერთობა და ეს მკვეთრად ჩანს ქალისადმი მიწერილ მგზნებარე ბარათებში;

3. არც იმის უარყოფა გამოვა, რომ ყველა ეს სასიყვარულო ბარათი იწყება ელენე ბაქრაძის

სახელის ასეთი აბრევიატურით: **Elli**, ხოლო, წერილებში რომ გამოხატულია მგზნებარება, სწორედ იმ მგზნებარებით არის აღსავსე პაოლოს სატრფიალო პოეზიის ერთ-ერთი შედევრი, 1915 წელს დაწერილი „სონეტი ელლის”. თანაც ყურადღება მივაქციოთ სახელის აბრევიატურის ქართულ ვარიანტს: ცნობილია, რომ ქართული თანხმოვანთა განმეორებას გაურბის. თუ უცხოურად არის სიტყვა „კომმუნისტი”, ქართულად ერთი „მ” იკარგვის და გვაქვს „კომუნისტი”. წესით უნდა ყოფილიყო „ელის”, მაგრამ პაოლო ორ „ლ” ბგერას იყენებს ისევე, როგორც უცხოურ დაწერილობაში;

4. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ არც იმაში, რომ, ფაქტურის მიხედვით, წერილები და ლექსისონეტი ერთგვაროვანია. „სონეტი ელლის” აღსავსეა მომავლის შეხვედრების იმედით; ზუსტად იგივე მეორდება პაოლოს წერილებში ელისადმი;

5. უდავოა შემდეგიც: ელენე ბაქრაძეს სურათები გადაუდია იმჟამინდელ თითქმის ყველა გამოჩენილ მწერალთან. ესენი არიან: გ. ტაბიძე,

კგამსახურდია, სიმონ ჯანაშია, ზ. ფალიაშვილი, კოქი აბაშიძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, ი. გრიშაშვილი... შეუძლებელია, ასე სახელოვან ადამიანებს უბრალო, არაფრით გამორჩეულ ქალბატონთან გადაეღოთ სურათები. რა თქმა უნდა, ისინი სურათს იღებდნენ და პოზირებდნენ გამოჩენილ პიროვნებებთან, მათსავით შემოქმედ ადამიანებთან. მაშ, ისინი ელენე ბაქრაძეს ცნობილ მწერლად მიიჩნევდნენ;

6. ფაქტია: ელენე ბაქრაძემ შეთხზა არაერთი დექსი, მინიატიურა, ჩანახატი, წერდა დღიურებს, ზოგსაც ლექსად, რაც მას განსაკუთრებით აახლოებს დემეტრაძის გამოცემაში ცალკე თავად წარმოდგენილ რუბრიკასთან - „ელენე დარიანის დღიურები”. გარდა ამისა, გახლდათ თავისი დროის ერთ-ერთი აქტიური მთარგმნელი (ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელოთ);

7. საყურადღებოა ისიც, რომ, მისი თქმით, მას ხელი ჩაურთავს ტერმინ-წოდება „ცისფერი ყანწების” გამოგონებაში. ელენე ბაქრაძე თავის დვაწლს ამ საქმეში ასე იგონებს: სავანეში,

მწვანე მდელოზე, გაიშალა სიმბოლისტთა სუფრა. „სუფრას და ჭურჭელსაც მთვარის შუქზე მოედო ისეთი საზღაპროდ ნაზი, ლურჯი ფერი... რომ წუთით ყველა გაჩუმდა... დიასახლისმა... პატარა თეთრი ყანწები მოიტანა. პაოლომ ააგსო ყანწი და ასწია მაღლა. ცისფრად გამოეყო ჰაერში თეთრი ღვინით ავსებული ყანწი. რადგან მე არაფერს ვაკეთებდი, ვუმზერდი პაოლოს, თვალში მომხვდა იგი და წყნარად წარმოვთქვი: „ცისფერი ყანწი!...” პაოლოც დააკვირდა და „უეცრად წამოიძახა: „ევრიპა, ელლი, ცისფერი ყანწი!” მერე ზეზე წამოდგა, მთვარის შუქს შეუშვირა ყანწი და იმეორებდა: „ცისფერი ყანწი! ცისფერი ყანწი!” (ებაქრაძე, მოგონებების ხელნაწერი, გვ. 13; მოგვავს გ. ჯავახიშვილის წიგნის (გვ. 16) მიხედვით).

ამრიგად, შესაძლებელია, რომ ე. ბაქრაძე მართლა იყოს სახელწოდების „ცისფერი ყანწები” ნათლია. ამ მხრივ საინტერესოა ერთი პარალელი. ლევან გოთუას რომანში ყველაზე კარგი არის სათაური — „გმირთა ვარამი”, ოდონდ,

სამწუხაროდ, როგორც თვითონვე აღიარა „მნა-  
თობში” გამოქვეყნებულ მოგონებებში, ეგ მშვე-  
ნიერი სათაური კახელ უბრალო გლეხს გამოუ-  
გონებია. გაციმბირებულ მწერალს იქვე მყოფი  
სხვა ტყვისათვის, კახელი კაცისათვის, შეუჩივ-  
ლია: ქართველ ისტორიულ გმირებზე რომანსა  
ვწერ, იმათ შრომა-ტანჯვას ავსახავ და არ ვიცი,  
რა დავარქვაო. იმ გლეხკაცს უპასუხია: მაშინ  
უწოდე გმირთა ვარამიო.

ვფიქრობთ, მარტო ეგ ფაქტი, რომ ე. ბაქრაძე  
გახდავს ნათლია ორგანო „ცისფერი ყანწებისა”,  
უდიდესი მნიშვნელობისაა.

8. ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტი, რომელსაც  
ვერ უარვყოფ და რომელიც იმაზე მეტყველებს,  
რომ ელენე ბაქრაძეს ერთ-ერთ სერიოზულ სიმ-  
ბოლისტ მწერლად აღიარებდნენ მისი თანამედ-  
როვე შემოქმედნი, გახდავთ ის, რომ მას მეგო-  
ბარ თანამოკალმედ ასახელებენ და უძლვნიან  
თავიანთ ქმნილებებს შემდეგი მოღვაწეები: პაო-  
ლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რო-  
ბაქიძე, კონსტ. გამსახურდია, იოსებ გრიშაშვი-

ლი, კონსტ. ჭიჭინაძე, გიორგი ლეონიძე, ირ. აბა-შიძე, მარიჯანი, ლადო გუდიაშვილი, სიმ. ჯანა-შია, ვლ. ნორაკიძე, იოსებ მეგრელიძე, პანტელე-იმონ პეტრენკო და სხვები. როგორც უკვე ითქვა, უკვე 1915 წელსვე უძღვნა მას პაოლომ კლასიკუ-რი სონეტი და არაერთი მგზნებარე წერილი; გა-ლაკტიონი ელენესა და მის მეუღლე შალვა ქარ-თველიშვილს უძღვნის ლექს-ექსპრომტს „ელი-კოს და შალვას”, სადაც მათ სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცება. ვთქვათ, ეგ ნაწარმოები შალვასადმი სიმპათიას გამოხატავს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მეორე ქმნილებაზე, რადგან იმხა-ნად (1937) შალვა უკვე ცოცხალი აღარაა. მაშ, ახლა გალაკტიონი მხოლოდ ელენე ბაქრაძის მი-მართ სიყვარულსა და მოკრძალებას ავლენს. ეს ლექსპრომტი ასე მთავრდება: „ელიკო! გელის გალაკტიონი!” (გ. ჯავახიშვილი, 41).

გრ. რობაქიძემ ელენე ბაქრაძეს შეხვედრისას „უთხრა: გაზეთ „მეგობარსა” და ჟურნალ „ცის-ფერ ყანწებში” დაბეჭდილ შენს ლექსებზე, ვიდ-რე შენ განჯაში იყავი, მე უკვე გამოვთქვი აზ-

რიო (გ.ჯ., 43). ეგ უკვე პირდაპირი მითითებაა იმისა, რომ გრ. ობაქიძეს დარიანული ციკლის რამდენიმე ლექსის ავტორად პაოლო კი არა, ელენე ბაქრაძე მიაჩნია. „დარიანულის” პირველი დრმა ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური დახასიათება სწორედ ობაქიძეს ეკუთვნის: ეროტიკული ფსიქიკის ქალი ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს და იგი პირველად დარიანმა დახატაო: „შეყვარებულობის ჭეშმარიტი ეროტიკული განცდა და ამასთან განცდა წმინდა ქალური სტიქიოსა” (გ.ჯ., 43).

პ. გამსახურდია, ალ. აბაშელი, პ. ინგოროვა და ვ. კოტეტიშვილი – ეს ოთხი შავჩოხიანი (ეს სურათი ყველას გვინახავს) შინ ეწვია ელენეს და საპროტესტო მოგზაურობაში მათთან ერთად წასვლა სთხოვა (გ.ჯ., 45). თუ არა ტოლ-სწორ მწერალს, მაშინ ეგ ოთხი მოღვაწე რად ესტუმრებოდა ბაქრაძეს?! რაც მთავარია, სოლოვკის კუნძულებზე გადასახლებული გამსახურდია ბარათსა სწერს ქალ მეგობარს და არწმუნებს, „შენ პოეტი ხარო” (გ.ჯ., 45). კიდევ უფრო საგუ-

ლისხმოა დიდი პროზაიკოსის ეგ აღიარება: „ვე-  
ლოდები შენს სონეტებს. მხოლოდ, თუ შეიძლე-  
ბა, მიეცი კარგი სათაურები, მე ვფიქრობ, შენ  
ისეთი გამბედავი ხარ, რომ დამფუძნებელი იქნე-  
ბი ქალური ლირიკისა...” (გ.ჯ., 46).

აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია სიტყვებმა: „**შენ**  
**ისეთი გამბედავი ხარ**“.

თუ ელენე ბაქრაძის სხვა ნაწარმოებებს ვი-  
გულისხმებთ, გარდა დარიანულისა, მათში, არც  
პროზაულში და არც ლირიკულში, არაფერია  
გაბედული და არაორდინალური. **საგაბედულო**  
გახლავთ სწორედ „დარიანული“ 14 ქმნილება.  
მაში, დარიანულის 1927 წლამდე დაბეჭდილი  
ლექსები მიაჩნია პროზაიკოსს ქალის დიდ გაბე-  
დულებად.

ქალზე საინტერესოა ერთ ხელნაწერზე გრი-  
შაშვილის მიერ გაპეტებული მინაწერი: „ელენე  
დარიანმა გადმომცა (შალვას მეუღლემ). ი. გრი-  
შაშვილი“ (გ.ჯ., 49). აქ პირდაპირ და უთუმცაოდ  
არის აღიარებული: შალვა ქართველი შვილის მე-  
უღლე, იგივე ელენე ბაქრაძე, არისო ელენე და-

რიანი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია ჰაინქეს კრებული. რითმასთან „უცებ-ხუცებს” მიწერილია, რომ ეგ რითმა ელენე დარიანისაა. ისიც საგულისხმოა, რომ გრიშაშვილი ხშირად მწუხარებით იტყოდა თურმე: „ჩვენ ვალში ვართ ელენე დარიანის წინაშე. გამოჩნდება ვინმე და თავის დროზე სიმართლეს იტყვისო” (გ.ჯ., 48).

აქ, უჭვი არაა, იგულისხმება ის გარემოება, რომ ელენე დარიანს „თავის დროზე” არ ხვდა ის პატივ-დიდება, რაც ეკუთვნოდა.

პ. ჭიჭინაძემ ელენე ბაქრაძეს უძღვნა ლექსპრომტი, სადაც საგულისხმო და ეფექტიანია ორი ტაქტი:

**წინათ ელენეს პარისი ფლობდა,  
დდეს კი ჰპატრონობს იმას გოგია.**

გოგიად იგულისხმება ელენეს პირველი ქმარი გოგი ბერიშვილი.

გ. ლეონიძე – ელენე ბაქრაძის ურთიერთობაში ისაა საგულისხმო, რომ გოგლა მუდამ ინტერესდებოდა პოეტი ქალის ნაწერებით, მიჰქონდა ისინი და ბეჭდავდა. მაშასადამე, ანგარიშის გასაწევ შემოქმედად მიიჩნევდა მეგობარს. ელენე ბაქრაძის პირად არქივში აღმოჩნდა გოგლას რამდენიმე ლექსის ხელნაწერი (გ.ჯ., 53-54).

ერთურთს უძღვნიდნენ ლექსებს, საკუთარ პუბლიკაციებს მარიჯანი და ელენე ბაქრაძე, ხოლო ლადო გუდიაშვილი ელენეს წერილებს ასე ახასიათებს: „შენთვის ჩვეული პოეტური და ბრძნული შინაარსის” მქონეო (გ.ჯ., 59). ერთ-ერთ წერილში კი ლ. გუდიაშვილი მას უწოდებს „ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებელს” (გ.ჯ., 62). შეუძლებელია, აქ იგულისხმებოდეს ელენეს დანარჩენი „ნორმალური” ქმნილებები. არა, აქ იგულისხმება სწორედ ის „გაბედული” და „სხვაგვარი” ნაწარმოებები, რომლებიც ამოვარდნილი იყო საერთო ნორმატიული კანონებიდან, ესე იგი, დარიანული ციკლის ლექსები.

ვლ. ნორაკიძე ელენეს, როგორც სერიოზულ პოეტს, ისე აღიქვამს და ერთ წერილში ეკითხება: „პოეტური განწყობილება როგორი გაქვთ, სონეტები ახლა ბევრი გექნებათ”. ეს იწერება 1926 წ. ესე იგი, ვლ. ნორაკიძეს, მომავალ პროფესორს, სწამს, რომ ელენე ბაქრაძე სონეტის სპეციალისტია. ჩვენ კი ვიცით, რომ სონეტი შემოიტანეს და ააღორძინეს სწორედ სიმბოლისტებმა ფრანგი მოდერნისტების ზეგავლენით. მაშ, ვლ. ნორაკიძის აზრით, ელენე ბაქრაძე კარგი სონეტისტია.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ მოწინავე მწერლები ელენე ბაქრაძეს სრულიად თანაბარ შემოქმედად მიიჩნევენ და მასთან სრულიად ჩვეულებრივი შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ.

9. ჩვენი ფიქრით, ასევე სარწმუნოა ელენე ბაქრაძის მითითება, თუ როგორ გაჩნდა ფსევდონიმი **დარიანი**. საქმე ისაა, რომ სიმბოლისტთა წრეში აღმერთებდნენ სიმბოლისტ მწერლებს. შემთხვევით როდი წამოსცდა გ.ტაბიძეს: „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მა-

მას”. ასევე აღმერთებდნენ ოსკარ უაილდსა და მის „დორიან გრეის პორტრეტს”. ელენე ბაქრაძემ პაოლო იაშვილს უწოდა დორიან გრეი, რაკიდა პაოლო ლამაზი ვაჟაპოვი გახლდათ. პაოლომ უკან დაუბრუნა ეგ სახელი, ოდონდ დორიანი უფრო მუსიკალურად გააფორმა – დარიანი. ასე შეარქვა თავის საყვარელ ელლის ელენე დარიანი (გ.ჯ., 24). ასეთი გალამაზება – გაპუთილშობილება მოდერნისტთა ბუნებაში „ჯდება”. გამსახურდიამ ისტორიული არსებით პეთილხმოვანი არსაკიძით შეცვალა!

ძალზე საყურადღებოა, რომ, როგორც „ცისფერი ყანწების”, ისე ფსევდონიმ ელენე დარიანის დამკვიდრება ლიტერატურულ სივრცეში ფაქტობრივად ელენე ბაქრაძის დამსახურება გამოდის.

აქვე შევნიშნავთ: ფსევდონიმების, სახელების გაპოეტურება სიმბოლისტური კულტურის ნაწილია. კოლია ნადირაძემ დაირქვა კოლაჟ; პავლე იაშვილმა – პაოლო; გალაქტიონ ტაბიძემ – გალაქტიონი; ტიტიკო ტაბიძემ – ტიციანი და ა.შ.

ბუნებრივია, ამ ტენდენციას ეხმაურება და ასახავს ორდენისათვის „ცისფერი ყანწების”, ხოლო მათი ქალი წევრისათვის ელენე დარიანის სახელის მინიჭება.

ეგ სახელი დორიანი პაოლოს თავდაპირველად მოსწონებია, ოღონდ, ეტყობა, „დორიან გრეის პორტრეტი” წაკითხული არა ჰქონია. რა მოაყოლა მისი შინაარსი ელენე ბაქრაძეს, აღარ მოეწონა დორიანის („ცისფერი” კაცის) სახელი და ამად დაუბრუნა „უკან „ნათლიას”, ოღონდ გადასხვაფერებულ-შელამაზებული, თანაც სფანურ (ქართულ) გვარს წამსგავსებული – დარიანი.

როგორც ჩანს, ამგვარად შეიქმნა ქლერადი სიმბოლისტური ფსევდონიმი ელენე დარიანი.

## ელენე ბაქრაძის „ნამდვილი“, ე.წ. არასადავო, ლექსები, თარგმანები, მინიატიურები

უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავთ: სიმბოლის-  
ტები ცდილობდნენ პოეტური ტექნიკის მაღალ  
დონეზე აყვანას, სიტყვის ესთეტიზაციას, გასიმ-  
ბოლოვებას, რადგან ასეთ სიტყვას მეტი გაგება  
(პოლისემანტიკურობა) ახასიათებს და იდუმალ  
აზრსაც უკეთ სწოდება. ტექნიკური სრულყოფის  
ერთი მხარეა სტროფის რითმებით გაჯერება. მა-  
შასადამე, უკან ჩამოიტოვეს ინტერვალიანი და  
წინ წამოწიეს ჯვარედინრითმიანი სტროფიკა.  
ელენე ბაქრაძე ამ მხრივაც უპასუხებდა დროის  
მოთხოვნებს: როგორც ორიგინალურ, ისე თარ-  
გმნილ ლექსებში ყოველთვის ცდილობს, მო-  
მარჯვოს ორმაგი გარითმვის ეს პროგრესული  
ხერხი. სწორედ ასეთ ლექსებს წერდნენ იაშვი-  
ლი, გაფრინდაშვილი, ანა ახმატოვა. სწორედ  
ასეთი გარითმვით გამოირჩევა 1922 წ. „ბახტრი-  
ონში“ (№24) გამოქვეყნებული „თავად დარიანს“.  
რითმებია: ზარები – გავებანები, არიან – დარი-

ან; ჩემგან – დამჩემდა; არიან – დარიან. პირველი სტროფი ასეთია:

წერიალა ზარები, წერიალა ზარები,  
ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან;  
მთვარის ცის სხივებში მე გავიბანები  
და მოგელოდები, თავადო დარიან.

(გ.ჯ., 32)

იმავე წელს არის შეთხხული „ზღაპრული პრინცი”. აქ შევიხსენოთ, რომ ელენეს პაოლო პრინცესას უწოდებდა, საკუთარ თავს – პრინცს. პირველი სტროფი ასე ჰდერს:

იყო ზღაპარი, იქ იყო „პრინცი”,  
ქალი, მძინარი, რომ გააღვიძა.  
შენ, ალბათ, გახსოვს, ორივემ ვიცით,  
ორივეს გვყავდა მოხუცი ძიძა.

აქაც ჯვარედინი რითმებია გამოყენებული.  
მხატვრულად უკეთესია ეს პოეტური მონაკვეთი:

მყუდრო კუთხეში გაზრდილი სული  
უცნობი სევდით დარდობდა სხვაზე

და იშლებოდა ოქროდ დასხმული  
გზა, ძნებიანი ურმებით სავსე.

ასევე მკითხველს ერთგვარად მიიზიდავს და  
თავს მოაწონებს ბოლო პოეტური მონაკვეთიც:

გულზე დაბმული სისხლი წვეთებად  
მწყდება უნაზეს გრძნობით ნატარი  
და სულთმობრძავი გვამად ეცემა,  
რომ მკვდრეთით აღდგეს ისევ მართალი.

როგორც მხატვრულად, ისე შინაარსით ერ-  
თობ საინტერესოა ჯვარედინი რითმით გაწყობი-  
ლი ლექსი „პაოლოს მოლოდინში”. აქ ყურადსა-  
ლებია პირველი სტროფის მეორე ნახევარი:

მაღალ მოლოდინს შეეჩვია ჩემი პროფილი,  
დამე დღესა სცვლის და ალიონს მწუხრის  
საათი;

სიტყვის ნადიმზე მე არა ვარ უარყოფილი,  
მაგრამ მომბეზრდა მალულობა, ფარული დარდი.

1923 წ. დაწერილ ამ ლექსში ნათქვამია, რომ  
პოეტებს შორის ავტორს არ აქვს არავითარი  
შეზღუდვა, ოდონდ გასჩენია „ფარული დარდი”,  
რაღაც ვერ გაუცხადებია, რაღაც საიდუმლოს  
გულით დაატარებს. ამიტომაც მალულობა მო-  
ბეზრდა. იქნებ ქვემორელე მოყვანილმა სტრი-  
ქონმა აგვიხსნას რაიმე? აი, ეგ სტრიქონიც:

ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე  
(გ.ჯ., 34).

1940 წ. დაწერილ ლექსში „სადა ხარ, სადა”  
იგრძნობა პაოლოს სიკვდილით გამოწვეული  
ტრაგიზმი:

სადა ხარ, სადა? რომელმა ძალამ  
გამოაყრუა შენი ხსენება?

ამ ლექსში გვხვდება საინტერესო რითმები,  
რომელთაგან ბევრს ალბათ სიმბოლისტების  
მკვლევრები ერთგვარ მიღწევად ჩათვლიდნენ. მა-  
გალითად: მოსიარულე – არული, ურდო – ქურ-  
დავს.

აღნიშნულ ლექსთან ახლოს დგას იმავე ხა-  
ნებში (პაოლოს სიკვდილის მერე) დაწერილი  
„მარტო ვარ”. აქაც მოგონებებია „საზარელ  
წელთა”, არის სისხლი, სიბნელე და მელანქო-  
ლია. უფრო საგულისხმოა ეს ხანა:

დრო, ნაგვემივით დავანებული,  
აიზმორება ვიწრო კედლებში  
და წმინდანივით დავალებული  
მოიკაზმება მიტკლის თეთრებში.

გასაგებია, პაოლო იაშვილის ტრაგედია აგრე  
ოოლად ვერ ამოვიდოდა ქალის გულიდან. კიდევ  
ერთი ქმნილება დაუწერია მის სახსოვრად. ესეც  
ჯვარედინი რითმითაა გამართული. პოეტი ქალი  
ასე მიმართავს ლექსის დიდოსტატს:

რა ვქნა, რომ შენი სახე ნათელი  
ჯალათის ხელმა ვერ ამოშალა.

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ასეთი სა-  
ხე-ხატი:

სისხლით შედებილ წელთა თქარუნი  
მისწრებდნენ წინაც, მომდევენ ზურგში  
(გ.ჯ. 36).

ქავლევარი გ. ჯავახიშვილი პაოლოსადმი  
მიძღვნილ ერთ-ერთ ბოლო ცდად მიიჩნევს ოთ-  
ხსტოფიან ნაწარმოებს, რომელშიც ერთი საინ-  
ტერესო რითმაა; გააწყოს – აწყოს და დაწყი-  
ლებულია ორი სახელი: „ელენე, პაოლო – ხომ  
გულის სისხლია” (გ.ჯ. 37).

მარიჯანმა 1956 წელს რომ თავისი კრებული  
გამოსცა, სათანადო წარწერით აჩუქა ელენეს.  
ბაქრაძეს ამ წიგნზე წაუწერია საკუთარი ლექსი,  
რომელიც გამოხატავს ღრმა გულისტკივილს.  
ერთი ისაა, რომ იგი, თურმე, დიდი ხანია, ჩაი-  
ფერდოლა. ძალიან საგულისხმოა ბოლო ორ ტა-  
ქში გამოთქმული ნაღველი:

იყავ დღეგრძელი, ჩემს გულისტკივილს  
სულ სხვა თაობა გაასამართლებს. (გ.ჯ. 57).

ეს მნიშვნელოვანი ტაეპები ჩვენ ქვემორე  
მსჯელობაში ისევ დაგვჭირდება და იქაც მოვი-

მარჯვებთ, მაგრამ აქ სხვა რამეზე უნდა გავა-  
მახვილო ყურადღება: ეგ ლექსი ერთგვარად ეხ-  
მიანება და იმეორებს 1922 წ. შეთხულ ქმნილე-  
ბას „წერილი ანა ახმატოვას”. ორივეს ერთნაი-  
რი დასაწყისი აქვს. ჯერ ერთი, სათაურებიც  
იდენტურია. პირველგან — **წერილი ახმატოვას,**  
მეორეგან — **წერილი მარიჯანს;** პირველი ლექ-  
სი ასე იწყება: „მე მინდა გითხრა”. იგივე კითა-  
რებად 1957 წ. შეთხულ ქმნილებაშიც: „მინდა  
დღეს გითხრა...” ახმატოვას ქართველი ავტორი  
ავი ბედით აცოდებს თავს: „მე ცოტა მიცნობს:  
სხვანაირი მეწვია ბედი”. ალბათ იგულისხმება:  
შენ საქვეყნოდ სახელგანთქმული პოეტესა ხარ.  
მე კი ცოტანი მიცნობენო; უბედობაზე წუწუნია  
მეორე ლექსშიც: „მე სხვანაირი მეწვია ბედი”.  
და, რაც მთავარია: თუ ახმატოვას აუწყებდა:  
„შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი და ოქროს გე-  
დიო”, მარიჯანს ატყობინებს: „შენთვის საჩუქ-  
რად არ მაქვს დაირი, არც ოქროს გედი მომიწ-  
ვებია” (გ.ჯ. 57). კიდევ ერთი ერთობა იპვერება  
ამ ორ ტექსტს შორის. ახმატოვას არწმუნებდა

ავტორი: „ჩამოდი ჩემთან, მე მგონია, ვიქნებით დები”. მარიჯანს კი ასე ამშვიდებს: „მაგრამ მე მჯერა, ისევ ვართ დები”.

ამ ტექსტთან დაკავშირებით დაისმის კანონიერი კითხვა: 1957 წ. რატომ გრძნობს პოეტი ქალი, რომ დიდი ხანია ჩაიფერფლა? ბუნებრივად ჩნდება პასუხიც: მისი აზრით, დარიანული ლექსებით მოსული დიდება ჩაილია, ჩაიჩუმქრა. იმის მერე ღირსშესანიშნავი ვერა დაწერა რა. აი, ასეთი პასუხიც შეიძლება გაეცეს ამ გულისტკოვილს.

ამ ვითარებაში ელენე ბაქრაძე ელენე დარიანი გამოდის.

სიმბოლისტებში გავრცელებული იყო ე.წ. მიძღვნითი ლექსების წერა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. ელენე ბაქრაძეს სიმონ ჯანაშიასადმი მიუძღვნია 2 ქმნილება. უნდა ვაღიაროთ: პირველი მათგანი მხატვრული დონით თითქმის არ ჩამოუვარდება დარიანულ ნიმუშებს. 1922 წ. სოფ. მერეთში შექმნილა „ჩასარბენი”. აქ შევიხსენოთ კ. გამსახურდიას საყვედური ებაქ-

რაძისადმი – სათაურის მიგნება არ იციო. აქაც  
იგივე ვითარებაა: შინაარსი საუცხოოა, სათაური  
– უმსგავსო:

როს გათბებიან დამის ფერები  
და ჩემს ოთახშიც ჩამობნელდება,  
გარდასულ დღეებს კვლავ შევეხები  
და შენი ნახვა კვლავ მომინდება.

მშვენიერი ინტიმური დასაწყისია. მკითხველ-  
მა შენიშნა: აქაც მომარჯვებულია ჯვარედინი  
რითმა – პოეტის ოსტატობისა და მაღალი პრე-  
ტენზიის მაცნე: ფერები – შევეხები, ჩამობნელ-  
დება – მომინდება.

კიდევ უფრო მეტად „სიმბოლისტურ-მხატ-  
ვრულია“ მეორე ხანა. აქ უკვე ტრიალებენ მო-  
დერნისტულად ამაღლებული ნიგობი და ფერე-  
ბი, მიწას მოსხლეტილი საგნები:

აშრიალდება ფარდა კარებთან,  
შენც გამოჩნდები დაგვიანებით;  
დაიფანტება ვრცელ მდუმარებად  
მაღალი შუბლი თეთრი ხელებით.

დაიფანტება მდუმარებად, თეორი ხელები, აშრიალებული ფარდა, მაღალი შუბლი – ყველა-ფერი ეს არის პოეტური ინვენტარი, ესოდენ უხვად რომ მოიხმარდნენ დამწყები ქართველი სიმბოლისტები 1915 – 1925 წლებში. იგივე ამაღლებული საგნები და სიტყვებია მომარჯვებული ბოლო სტროფშიც. ეს არის: თვალთა გარდაცვალება, ლვთიური მზერა, ცისფერი წვალება, ჯვრისწერა. დასკვნითი კადენცია ასე ჟღერს:

დავხედავ თვალთა გარდაცვალებას,  
ლვთიურ მიღწევით დახლართულ მზერას,  
და გარდავაქცევ ცისფერ წვალებად  
იქ, ჩასარბენთან, ჩვენს ჯვარისწერას.

ეგ ლექსი 1922 წ. დაიწერა. აქ კიდევ ერთი მომენტი იქცევს უურადღებას: როგორც პაოლოს, ისე ელენე დარიანის ლექსებშიც ხშირად არის გამოყენებული სარითმო წყვილად ვითარებითი ბრუნვა. ეს ლექსი ამითაც საინტერესოა. სამ სტროფში ორგან არის გამოყენებული ეგ ვითარებითი ფორმა: **მდუმარებად** და **წვალებად**. ამა-

ვე დროს, ეფექტური და ახალიცაა სარიომო  
წყვილეული: **გარდაცვალებას – წვალებად.**

ელენე ბაქრაძეს 1925 წ. კიდევ ერთი ლექსი  
მიუძღვნია ამ მოღვაწისადმი. ეს ლირიკული შე-  
დევრიც საინტერესოა, შესაძლოა, ყველაზე საინ-  
ტერესოც კი, რამდენადაც მეტრულ-რიტმულად  
ეხმიანება დარიანულის ორ ქმნილებას და კიდევ  
ერთხელ დაგვაფიქრებს ერთსა და იმავე ხელწე-  
რაზე.

საქმე ისაა, რომ დარიანულ ციკლში ორი მე-  
ტად თავისებური რიტმის ქმნილება გვაქვს. ესე-  
ნია: „გათავდა ნადიმი” და „ხშირია სიჩუმე, ოთა-  
ხის სტუმარი”. მათ თავისებურებას განაპირო-  
ბებს რიტმის შემქმნელი სეგმენტების წყობა. ტა-  
ეპი გაყოფილია ორ კარედად. თითო კარედში  
გვაქვს 3-3 მარცვლიანი ორ-ორი სიტყვა. მაშ, 12  
ხმოვნიანი ტაეპი ცეზურით ასე იყოფა:

3+3 // 3+3

ავიღოთ 1916 წ. დაწერილი დარიანულის I  
ტაეპი:

**ხშირია სიჩუმე // ოთახის სტუმარი.**

სეგმენტი უდრის სიტყვას და იგი სამ ხმო-  
ვანს მოიცავს. მაშ:

3+3 // 3+3 (პ. იაშვილი, 140)

ზუსტად იგივე რიტმული სვლაა გამოყენებუ-  
ლი 1915 წ. შეთხულ ლექსში „გათავდა ნადი-  
ძი”:

გათავდა ნადიმი // სად არის მხლებელი?

(პ. იაშვილი, 134)

3 + 3 // 3 + 3

აქვე აღვნიშნავთ: ამგვარი რიტმისა და წყო-  
ბის ლექსი პაოლო იაშვილს არ ახასიათებს. მი-  
სი შედევრებია: „დატრიალება” (14 მარცვლიანი),  
„პოეზია” (14 მარცვლიანი), „პოეტის საქმე” (10  
მარცვლიანი), „როგორც აფრის ტკაცუნი” (10  
მარცვლიანი), „მაგიდა – ჩემი პარნასი” (10), „ბა-  
დის ამბავი” (14), „ლირიკული მისამართიდან”  
(14), „დილა” (14), „საკუთარ თავს” (8), „დებედა-  
ჩის დამე” (10), „წერილი კოლაჟ ნადირაძეს”  
(10); პაოლო ყველაზე მეტად იყენებს 14-მარ-  
ცვლიან ლექსს. 12-მარცვლიანი სულ ორიოდე  
ქმნილება შეუქმნია და რიტმული სვლა სულ

სხვანაირია, ვიდრე დარიანულის ორი შედევრისა. სამაგიეროდ, დარიანულის ამ ცნობილ ორ ქმნილებას სრულიად შეესატყვისება და რიტმულად კვალში მიჰყვება ს. ჯანაშიასადმი მიძღვნილი მესამე ლექსი, დაწერილი 1925 წელს. მაშ, 1915 და 1916 წლებში გამოყენებული მეტრი და რიტმი კვლავ გახმიანდა ელენე ბაქრაძის შემოქმედებით სამყაროში 10-11 წლის შემდეგ. აი, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქმნილება:

შენ წასველ დღეს ჩემგან და იყო სინაზე  
შენს ცისფერ თვალებში წარსული სხივების.  
ასე ჩურჩულებს ჩემს ქართლში მდინარე  
ზღაპრებს სიყვარულით დაცემულ გმირებზე.  
და დარჩა ჩემს ოთახს სიმწარე მცინარე,  
შენს ნათელ ხელებით, ასახულ გედებით,  
ასე იცრემლება ჩემს ქართლში მდინარე,  
სევდა დიდ ოცნებით დაჩრდილულ ფერებზე.  
და შენ თან წაიღე ვნებათა სინათლე,  
რომ კრთოდა ძარღვებში თავადი იმერის, -  
ასე მარადისობს ჩემს ქართლში ბრწყინვალე  
მზე დიდი მიღწევის, მართალი იმედის...

რიტმული სურათი ზუსტად იგივეა:

**შენ წახელ დღეს ჩემგან // და იყო სინაზე**

3 + 3 // 3 + 3

ჩემი ამჟამინდელი დასკვნა ასეთია: ს. ჯანა-  
შიასადმი მიძღვნილმა ამ ტექსტმა მეტი საფუძვე-  
ლი მოგვცა, რათა დარიანულის ორი ზემოდასა-  
ხელებული რიტმული თავისებურებით გამორჩეუ-  
ლი ლექსი ელენე ბაქრაძის ნაკალმარად მივიჩ-  
ნოთ.

განვაგრძობთ ელენე ბაქრაძის სხვა ლექსე-  
ბის მიმოხილვას. მას ლესია უკრაინკასადმი მი-  
უძღვნია ნაწარმოები. აქაც შენარჩუნებულია ბაქ-  
რაძისა და დარიანის სტილი: ჯვარედინი რითმა;  
ნახსენებია სიმბოლისტურ-მოდერნისტული ანტუ-  
რაჟი: პირამიდები, სფინქსი, მთვარე, ანუ ისეთი  
საგნები, რაც სიშორის, უცხოობის განცდას  
გვიქმნის. სწორედ ეს ელემენტია ყველაზე უც-  
თომელი ნიშანი დარიანისა და, საერთოდ, სიმ-  
ბოლისტების გამოსარჩევად. ამ მიძღვნის ერთი  
სტროფი ასე ჟღერს:

დარდით გვევსება გული ქართველებს,  
თან რად წაიღე მძიმე იარა,  
გერ გადაევლე უსაზღვრო გელებს,  
როცა გრიგალმა გადაიარა. (გ.ჯ. 101)

ვხედავთ, რომ მშვენიერი რითმებია: ქართველებს – ველებს, არა – გადაიარა.

ე. ბაქრაძემ თავის მეორე ქმარს უძღვნა ლექსი „ხატაური”. თუ ყურადღებით ჩააკვირდებით, აქ ადმოაჩენთ იმ პოეტურ ანტურაჟს, რაც ახასიათებს „პირამიდებს”. ეს სიტყვა-ცნებები და საგნები მოდერნისტულ-სიმბოლისტურად მოწყვეტილია დედამიწას, მიწაზე მცოცავ რეალიზმს და უცხოსა და უცხოურის შთაბეჭდილებას გვიქმნის. ესენია: მწვანე ხავერდი, ვერცხლი და ხატაური, სპარსული რაშები, უდაბნოს ცხელი ქვიშა, მწუხრი და სფინქსი, სპილო და ბუხრის ჩუქურთმა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ კლასიკური სონეტი. პირველი და მეორე სტროფები რკალური რითმებითაა გაწყობილი. რითმებია: I, IV (ხატაური – ხმაური; აურზაური - უც-

ნაური), II-III (რაშებს – ათამაშებს; ზარნაშებს - ულვაშებს).

მწვანე ხავერდი, გერცხლის ბეჭვი და ხატაური ჭრელ ხალიჩაზე ჩაჟკვდომია სპარსეთის რაშებს... დათენთილ ბრჭყალებს ამახვილებს და ათამაშებს, ამართულ ყურთა ესმის უცხო ქვეყნის ხმაური.

ძლიერი და მარჯვე რითმებია მოძებნილი სონეტის მეორე ნაწილისათვისაც: გააცხოვე-ლებს – ნოველებს; ბრძოლა – ძრწოლა; ნაღარა – საქარა.

1923 წ. დაწერილ ამ ლექსს ნებისმიერი პოეტი მოაწერდა ხელს.

„შენდობა”, ეტყობა, პირველ ქმარს ეძღვნება. აქ გვხვდება ელენესა და პაოლოსთვის ესოდენ დამახასიათებელი ვითარებითის ბრუნვა რითმად: მცველად – ლოცვებად. საგულისხმოა რითმები: გოდება – მომაგონდება; შენგან – გადაშენდა; აპირებდა – დამპირდები. განსაკუთრებით საყურადღებოა ეგ უკანასკნელი – ირიბი რითმა, სიმბოლისტებში რომ ესოდენ ფასობდა. გავიხსენოთ

გალაკტიონი: იისაგან – ბეთანიისაკენ; სილაში  
ვარდი – სილაუგარდე. გავსინჯოთ მხოლოდ პირ-  
ველი სტროფი:

არ დამავიწყდი,  
შენი გული გამომყვა მცველად,  
გული, ბუდიდან ამოვარდნას რომ აპირებდა.  
ჩემო ძვირფასო, დავიბნევი ღმერთთან ლოცვებად,  
სამარადისოდ შენს სიცოცხლეს თუ დამპირდები!

კი თეულობთ და გვეჩენება: აჲ, სად არის  
პაოლოს ჯადოსნური ხელის მსუბუქი გაკვრა და  
ჩვენ წინაშე ისევ იელვებს დარიანული სინათ-  
ლის ფეიერვერკი. „ხავერდის დარად ითხოვს  
ალერსს“ ამავე ლექსის ბოლო ხანა:

ეხლა სხვაგან ვარ, დაღლილი ვარ,  
თან გულიც მტკიგა,  
გული, რაინდულ ჯვარზე გაკგრას  
რომ აპირებდა,  
დამშვიდდი, ჩემო, გულის ტაძრის  
ზვარაკად მოვალ,  
სამარადისოდ შენს სიცოცხლეს  
თუ დამპირდები!

სიმბოლისტურ სახე-საგანთა მომარჯვებით გამოირჩევა 1923 წელს აბასთუმანში დაწერილი „ტყის შრიალი”. აქ თქვენ თვალწინ აბზინდება ზურმუხტი და ლალი, დატრიალდება კარნავალი, თვალს დაგიამებო ალვები და ზამბახები; არც ეგზოტიკური ლოტოსი გამორჩება ავტორს და არც ლამაზი, პოეტური სიტყვა ლარნაკი და უდაბნოში აგიზგიზებული ლამპარი, ხოლო რითმა აქაც ორიგინალურია, ოღონდ არა ხელით ნაკეთი, არამედ ბუნებრივი:

შრიალი შახით: შეყვარებულთ შეხედვა ნელი,  
ზურმუხტი, ლალი, დაფანტული  
დახრილ თვალებში,  
მუდარა ჩემი, უდარდელი, ხილზედ სურნელი,  
ოცნება ციდან ჩამოშვებულ კარნავალებზე.

ადვილი შესამჩნევია ბგერწერა „შ” ბგერაზე:  
შრიალი შახით: შეყვარებულთ შეხედვა... რითმებია: ნელი – სურნელი, თვალებში – კარნავალებზე. ამ ქმნილებაში სხვა ბგერწერებიც საინტერესოა: ზამბახით ზეიმი, ზართა ლხინი... აქ

უკვე „ზ” აბგერწერდა. არის მესამე მაგალითიც:  
**ლოტოსი თეორი, ლიტანია...**

ამ ტაქტა კითხვისას გაგონდება ვ. გაფრინ-  
დაშვილის ტყეზე შეთხული მსგავსი ლექსი.

1923 წელსვე დაუწერია ბაქრაძეს „სიმარტო-  
ვე”. ამ სიმბოლისტურ თემას პოეტმა ქალმა ათ-  
მარცვლინი ლოგაედური მეტრი მოარგო. ჩვეული  
ჯვარედინი რითმა, როგორც განაცხადი სერიო-  
ზულ პრეტენზიაზე, აქაც იხილვის: პირველ  
სტროფშია: **რატომ – მარტო, ქარი – აქ არი;** მე-  
ორეშია: **ამბორით – მაგონებს, არავინ – სამა-  
რეს;** მესამეშია: **სახლებს – სახელებს, მინებს –**  
**მათქმევინებს;** მესამე სტროფის სარითმო წყვი-  
ლებია: **გარეთ – დაიფარე, ქარში – ავდარში.**  
შენათხის განსაკუთრებით საყურადღებო მიღ-  
წევაა მძლავრი სახე: „და ჩემი სული ახლა მა-  
გონებს უნათესავო ბავშვის სამარეს”. ბრწყინვა-  
ლე სიმბოლისტური შედარებაა! ალიტერაცია  
აქაც იხილვის. იგი მარტოობის განცდას აძლიე-  
რებს: „აწვიმებს ბადებს, აწვიმებს სახლებს, აწ-

**ვიმებს ცრემლით...”** მწუხარებისა და უსასოობის  
გამოხატვით გამოირჩევა ბოლო მშვენიერი ხანა:

და ასე ცივა, ცივა დღეს გარეთ,  
ვიღაცა სტირის მწუხარედ ქარში,  
უფალო ჩემო, შენ დაიფარე  
ის, ვინც დავტოვეთ გარეთ, ავდარში.

(გ.ჯ. 142)

ეგ ქმნილება იმ ნაყოფიერ შემოქმედებით  
წელს განეკუთვნება, – ესე იგი, 1923 წელს. ჯვა-  
რედინი რითმით არის გაწყობილი უსათურო „მე  
შენთან ერთ დღეს ვერ გავატარებ”. ძირითადი  
სათქმელი მეორე სტროფის ბოლოშია ნათქვამი:  
დულცინეობა არა, ოდონდ დონკიხოტობა დია-  
ხაც მომწონდაო.

1937 წელს, პაოლოს გარდაცვალების შემდეგ,  
დაიწერა „მაშასადამე, მშვიდობით”. ეჭვი არ  
არის, აქ პოეტი ქალი პაოლოს გამოემშვიდობა.  
ამიტომაცაა ეგ მცირე გნომა შავბნელი ფერებით  
შესუდრული; იწყება ასე: „მაშ, ასე, მშვიდობით,

მშვიდობით სამუდამოდ”. აქ ავტორი საკუთარ თავს უბინაოდ შთენილს უწოდებს.

ჩემი შუალედური დასკვნა:

ელენე ბაქრაძე-დარიანის სხვა „ნამდვილი” ლექსების მიმოხილვაც შეიძლება, ოდონდ ეგ ძლიერ შორს წაგვიყვანდა. რაც განვიხილეთ, ადასტურებს: ელენე ბაქრაძე იყო თავისი დროისათვის საკმაოდ ძლიერი კალმოსანი, რომლის „ნამდვილი და უტყუარი” ორიგინალური ლექსები იძლევა საფუძველს, ვთქვათ: ამ ძალის პოეტს შეეძლო დაეწერა „დარიანული ციკლის” დედნები, ისევე, როგორც „გატეხილი ყამირის” დამწერ შოლოხოვს შეეძლო დაეწერა „წყნარი დონი” და „ნამწყემსარის მოგონებების” ავტორ ყაზბეგს – „ხევისბერი გოჩა”. რაც შეეხება პაოლოს როლს „დარიანულის” რედაქტირება-გარანდვაში, ამაზე ცალკე ვიმსჯელებთ. ახლა კი ორიოდე სიტყვა ე-ბაქრაძის პროზაზე.

## ელენე ბაქრაძის პროზა

ლადო გუდიაშვილი ელენე ბაქრაძეს ახალი ქართული პროზის ფუძემდებულსაც უწოდებდა. საფუძველი მასაც აქვს. საქმე ისაა, რომ იმხანად მომძლავრდა მცირე ფორმის პროზა. საერთოდ, სიმბოლიზმს გრძნობათა გამოხატვა მიაჩნია უმთავრესად, ხოლო განცდის, განწყობის გამოხატვას რომანი არ სჭირდება. ამას უკეთ ახერხებს ლირიკული ლექსი ან ჩანახატი, მინიატიურა. სიმართლე რომ ითქვას, ჩანახატი და მინიატიურა იგივე ლექსია, ლირიკული ქმნილებაა, ოფონდ პროზის სახით მოწოდებული. 1910-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ მცირე პროზის ოსტატები, კერძოდ, ნ.ლორთქიფანიძე და ჯაჭუ ჯორჯიკია. მაშინ ქუთაისს გამოდიოდა უაღრესად პოპულარული გაზეთი „კოლხიდა“. მისი ნომრები „აკლებული“ ჰქონდათ ნიკოსა და ჯაჭუს. იმხანად უკეთ გამოიყურებოდა ჯორჯიკია. ამ ტენდენციას მხარი დაუჭირა ელენე ბაქრაძემაც. ამიტომაც თუ იყო, რომ

შეთხება მრავალი მინიატიურა, ეტიუდი, რა თქმა უნდა, ლირიკული ულერადობისა. ზოგი დაიბეჭდა, ზოგიც ავტორის არქივში სამუდამოდ „დაშთა”.

მოგვიანებით, 1934 წ. „მნათობმა” გამოაქვეყნა (№7-8) ე. ბაქრაძის სამი ნოველა: „ჩეჩენი ემენა”, „კოჭლი კეპე” და „ზურაბა”. ეგ ნოველები ისე მოსწონებია ი. გრიშაშვილს, რომ ისინი ერთად აუკინძავს და პ. იაშვილის ლექსთა კრებულში ჩაუკეცავს (ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, I, 232). ესეც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია.

აი, თუ რატომ ეძახდა მას ლ. გუდიაშვილი ახალი პროზის ფუძემდებელს.

ასე რომ, ე. ბაქრაძე ბევრს როგორც ახალი პოეზიის, ისე ახალი პროზის (ლირიკული პროზის) ფუძემდებლად მიაჩნდა. ასეთი მწერალი, სავსებით დასაშვებია, იყოს „დარიანულის” პირველი სახის შემქმნელი.

## ელენე ბაქრაძე ლექსთა მთარგმნელი

მკვლევარმა გიორგი ჯავახიშვილმა გამ „კალმასობაში” გამოაქვეყნა წერილი „ელენე დარიანის ანა ახმატოვასადმი მიძღვნილი ოთხი ლექსი” (გ.ჯავახიშვილი, ელენე დარიანის ანა ახმატოვასადმი მიძღვნილი ოთხი ლექსი, გამ „კალმასობა”, 1999, №5). მან აქ სცადა დაემტკიცებინა, რომ ელენე ბაქრაძე ამ ოთხივე ლექსის ავტორია და რომ პოეტი ქალი „დარიანულსაც” იოლად დაწერდა. ესეც ერთი არგუმენტი გამოვიდოდა იმისა, რომ „დარიანული” ლექსები ელენე ბაქრაძისაა და პაოლო იაშვილი აქ არაფერ შუაშია. ოღონდ მკვლევარს მხედველობიდან გამოეპარა ორი რამ, რაზეც უურადღებას ამახვილებს ზ. ლომჯარია. საქმე ისაა, რომ მოხმობილი სამი ლექსი აღმოჩნდა თვით ახმატოვას ცნობილი ქმნილებების თარგმანები. მეორეც, აღმოჩნდა, რომ ე. ბაქრაძის ეგ ტექსტები ცუდად არის შესრულებული. ზ. ლომჯარია მათ სამართლიანად უწოდებს „უხეშ თარგმანებს” (ზ.

ლომჯარია, როგორ მოიქცევა პირუთვნელი მემა-  
ტიანე? გაზ. „ლიტერატურული საქართველო”,  
№40, 1999). მას მოჰყავს ცალკეული ქართულ-რუ-  
სული სტროფები და იოლად გვიჩვენებს და  
გვარწმუნებს, რომ ელენე ბაქრაძეს ვერ გაუთვა-  
ლისწინებია ფაქიზი ნიუანსები, ვერც ქართულსა  
ფლობს ჯეროვნად. მართალია, ზელომჯარია  
მარტოოდენ უდარებს ერთმანეთს ქართულ-რუ-  
სულ სტროფებს და არ არჩევს თარგმანის რაო-  
ბას, ოღონდ ამას ჩვენ გავაკეთებთ. აქ კი წინდა-  
წინ მეტაფორულად უნდა ვთქვათ: სადაც ახმა-  
ტოვა იყენებს წვრილ ნემსს, იქ ბაქრაძე იყენებს  
მახათს; სადაც რუს პოეტესას მოუმარჯვებია  
ფაქიზი პინცეტი, იქ ქართველი პოეტი ქალი  
იმარჯვებს ბლაგვ ნაჯახს. ავიღოთ ერთი სტრო-  
ფი და მისი თარგმანი:

**Протертый коврик под иконой,  
В прохладной комнате темно,  
И густо плющ темно-зеленый  
Завил широкое окно.**

ელენე ბაქრაძის ული თარგმანი ასე გამოი-  
ყურება:

გადაცვეთილა ხატთან ხალიჩა,  
ჩაბნელებულა გრილი ოთახი  
და მწვანე სურო ფართო ფანჯრიდან  
ჩამოშვებულა ხშირად ნახლართი.

ჯერ ერთი, ყურადღებას იქცევს პოეტიკური  
ნაკლი: რუსი მესიტყვე იყენებს ჯვარედინ რით-  
მას, რაც თანამედროვე ლექსის უდიდესი სიმ-  
დიდრება. მას I და III, ასევე II და IV ტაქტები გა-  
ურიოთმავს. ეგ ლირსება ქართულ ტექსტს წარ-  
თმეული აქვს. კიდევ მეტი: არც მეორე-მეოთხე  
ტაქტებია გემრიელად გარითმული. აბა, რა რით-  
მაა ოთახი – ნახლართი?!

ამრიგად, ფაქტობრივად ქართული ვარიანტი  
გამოვიდა არა რითმიანი კონვერსიული, არამედ  
თეთრი ლექსი.

ახლა სხვა მომაკვდინებელი ნაკლის შესახებ:  
რუსულ ტექსტში ნათქვამია, რომ ხატთან  
ხშირად მისვლის გამო იქ გებული (ხატის ქვეშ

გებული) ნოხი, ხალიჩა გაცვეთილიაო. ქართულ ტექსტში ნახმარია ერთობ მოუხეშავი და ხელოვნური ფორმა – **გადაცვეთილა**. თანაც უნდა იყოს არა **ხატთან**, არამედ ხატის ქვევით, ხატის ქვეშ. რუსულად წერია: под иконой. ასევე უხეშია ქართული „ჩამოშვებულა ხშირად ნახლართი” სუროო. „ხშირად ნახლართი” ყოვლად მიუღებული სტილისტური შეცდომაა, უაზრო სინტაგმაა. მერედა ეგ სურო „ფართო ფანჯრიდან” კი არ ჩამოშვებულა, არამედ ზემოდან ჩამოშვებულ სუროს ფართო ფანჯარა მოუწნავს, გადაუბლარდავს: „Завил широкое окно”. ესე იგი, ფართო ფანჯარას გადახლართვია, გადაწვნიაო.

თარგმანში ერთგან ასეთ რასმე ვკითხულობთ: „და უცოდველად მდინარებენ ჩემი აზრები”. საშინელი ჩიქორთულია. დედანში უველაფერი კარგადაა: „И непорочны помыслы мои”. ე. ბაქრაძეს ეს ტაქტი ასე უნდა გადმოედო: „უცოდველია ზრახვანი ჩემნი”.

კიდევ უფრო უბადრუკია ქართული ვარიანტი ანა ახმატოვას ამ სტროფისა:

**Твой белый дом и тихий сад оставлю,  
Да будет жизнь пустынна и светла.  
Тебя, тебя в моих стихах прославлю,  
Как женщина прославить не могла.**

აქაც ჯვარედინი მშვენიერი რითმებია გამო-  
ყენებული. ელენე ბაქრაძე ამ სირთულეს ვერ  
სძლევს და ინტერვალიანი (II-IV სტრიქონების  
შეხამება) რითმით კმაყოფილდება და აქაც ერ-  
თობ სუსტი რითმაა: **გახდეს – ჰყავდეს:**

**შენს თეთრ შენდობას და მშვიდ ბაღსაც მე  
მივატოვებ,  
დაე სიცოცხლე უკაცოდაც ნათელი გახდეს,  
შენ ჩემს ლექსებში ისე მდიდრად აგახმაურებ,  
ასე შემპული ჭერ არცერთ ქალს არავინ  
ჰყავდეს.**

დედანში არსადაა ნახსენები „თეთრი შენდო-  
ბა”, არც „თეთრი შენობა”. იქ მკაფიოდ წერია  
„შენი თეთრი სახლიო”; მეორეც, არსაიდან ჩანს,  
რომ ახმატოვა აქ მაინცდამაინც მამაკაცს ესაუბ-  
რებოდეს, იქნებ ის მეორე ქალია, მეგობარი

ქალბატონი? ასე რომ, „დაე, სიცოცხლე უკაცო-  
დაც ნათელი გახდეს” უჯერო თარგმანია; შემდე-  
გი შეცდომა ასეთია: ჩემს ლექსებში განდიდებას  
მოგიწყობო, – ამბობს რუსი მესიტყვე. ქართველი  
კი პპირდება მოყვასს: „ჩემს ლექსებში **მდიდრად**  
**აგახმაურებო**”. „მდიდრად ახმაურება” არც ქარ-  
თულია, არც პოეტური. ეს არის ენობრივ-მხატ-  
ვრული უმწეობა.

აღნიშნული თარგმანები რომ პაოლო იაშვი-  
ლის თარგმანებს შევადაროთ, მათ შორის უზარ-  
მაზარ სხვაობას შევნიშნავთ. რუსულიდან გად-  
მოდებული პაოლოს ტექსტი ეჯიბრება დედანს.  
იქ წარმოუდგენელია უხეში, სტილისტურად და-  
უძლებელი ფრაზები; რაც მთავარია, პაოლო  
ინარჩუნებს დედნების ჯვარედინ რითმებს – ამ  
პოეტიკურ სიმდიდრეს — და აქაც ეჯიბრება ავ-  
ტორს. ამ მხრივ ავიდოთ ორი ნიმუში: „ნუ იმ-  
დერ ჩემთან, ლამაზო ქალო!” და „ზამთრის სა-  
დამო” პუშკინისა. ამ ლექსებს იმიტომ ვიღებთ  
სანიმუშოდ, რომ ორივეან ჯვარედინი რითმებია  
მომარჯვებული პუშკინის მიერ. ახლა კი ვნა-

ხოთ, როგორ, რა მარჯვედ, რა ხელმსუბუქად და „მსუბუქმქოლად” (გალაკტიონი) გადმოაქვს ეგ სტროფები პაოლო იაშვილს:

ნუ იმდერ ჩემთან, ლამაზო ქალო,  
შენ საქართველოს სევდიან ხმაზე.  
მე მაგონდება, როცა შენ გალობ,  
სხვა ცხოვრება და სხვა სილამაზე.  
(პ. იაშვილი, ერთტომეული, ობ., 1959, გვ. 244).

მაშ, ასე: ქალო – გალობ, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ, ხმაზე – სილამაზე.

ამრიგად, შესანიშნავი ჯვარედინი რითმებია მომარჯვებული, რისი ძალიც არ შესწევდა ელენე ბაქრაძეს.

ახლა სხვა რამეც აღვნიშნოთ: ზედმიწევნით მისდევს მთარგმნელი დედანს, ოღონდ, იმავე დროს, ფრაზა რჩება ქართული, გამართული და ბუნებრივი. ამიტომაცაა ასე ლალი და ბუნებრივი პაოლოს თარგმანი. თუ არ იცი, რომ თარგმანია, ვერც მიხვდები, რომ რუსული ლექსის ქართული ვარიანტია. ზუსტად ეს ითქმის პუშკინის ცნობი-

ლი ქმნილების „ზამთრის საღამოს” ქართულ  
თარგმანზედაც. აი, ერთი საჩინო ხანა:

დარიბული ჩვენი ქოხი  
მწუხარებას ვეღარ ასცდა,  
ჩემო ძიძავ, ჩუმის ოხვრით  
რას აკეთებ ფანჯარასთან?

(პ. იაშვილი, ერთტომეული,  
თბ., 1959, გვ. 223).

აქაც შენარჩუნდა ჯვარედინი რითმა: **ქოხი** –  
ოხვრით; **ასცდა** – **ფანჯარასთან**. რაც მთავარია,  
ზუსტად მიჰყება ტექსტი ტექსტს და თან შე-  
ნარჩუნებულია სწორი და ლალი ქართული.

ყოველივე ეს მიუწვდომელია ელენე ბაქრა-  
ძისათვის.

აქედან კეთდება მართებული დასკვნა: ელე-  
ნე ბაქრაძის ე.წ. „ორიგინალური ლექსები” თარ-  
გმანებია; ამ ტექსტებში გამოჩნდა მისი პოეტური  
ოსტატობაცა და მშობლიური ენის ნიუანსთა  
წვდომის უნარი. ეგ უნარი სუსტია, უმწეოა, უძ-  
ლურია. მაშასადამე, დარიანული ციკლის ლექ-

სების ზოგი ნიმუში მართლაც რომ იყოს ელენე ბაქრაძისა, იმ შემთხვევაშიც კი ის ნიმუშები მძლავრად გადაუმუშავებია პაოლო იაშვილს და თავისი მაღალი შემოქმედებითი ენერგიით აღუგ-სია. ამიტომაცაა, რომ დარიანული ლექსები უფ-რო მეტად ჰგავს პაოლოს დანარჩენ ლექსებს, ვიდრე ელენე ბაქრაძის ორიგინალურ თუ მთარ-გმნელობით ნაღვაწს.

მაგრამ ელენე ბაქრაძე, როგორც რუსულის ბრწყინვალე მცოდნე და უნივერსიტეტებში ამ საგნის ლექტორი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა რუსული ლირიკული შედევრების გადმოენებას. არის საშუალება, გან-ვიხილოთ ეგ თარგმანები და შევადაროთ ისინი სხვა ქართველი ოსტატების ნახელავს. პოეტ ქალს უთარგმნია ლესია უკრაინკას ქმნილებანი. იყო დრო, რომ ჩვენში დიდი პროპაგანდა ეწეო-და ქართულ-უკრაინულ კულტურულ და ლიტე-რატურულ ურთიერთობებს. ამ ვითარებაში დიდი ავალა მიეცა დ. გურამიშვილისა და ლესია უკ-რაინკას თემატიკას. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ

უკრაინკა დაკრძალულია საქართველოში, გურა-  
მიშვილი – უკრაინაში. ფაქტობრივად ჩვენ პოე-  
ტები გავცვალეთ. მართალია, გაცვლა მთლად  
თანაბარი არ გამოვიდა, რამდენადაც გურამიშვი-  
ლი ჩვენი მეორე პოეტია, ხოლო უკრაინკა რამ-  
დენადაა უკრაინელი ხალხის მეორე მგოსანი –  
ეს საკითხავია!

აი, იმჟამინდელ საამრიგო აუიოტაჟს (ანუ ერ-  
თგვარ მოდას) აჟყოლია ებაქრაძე და გადმოუ-  
ღია ხუთი ლექსი (გ.ჯ. 101). მკვლევარ გ. ჯავა-  
ხიშვილს პარალელურად მოჰყავს გრიგოლ აბა-  
შიძის თარგმანიც. ჩვენ გვაქვს მათი შედარების  
შესაძლებლობა. ამთავითვე ვიტყვით: გრ. აბაშიძე  
ბრწყინვალე ლირიკოსი გახლდათ და, რასაკვირ-  
ველია, ე. ბაქრაძე მას ვერც თარგმანის ოსტა-  
ტობაში შეედრებოდა. ორი ტექსტის შედარებაც  
ამას მოწმობს. ლექსი „იმედი“. დედანში იგი ჩა-  
ფიქრებულია, როგორც ბეითი, ანუ სტროფი, რო-  
მელშიც ორი შერითმული ტაქპი შედის. ორივე  
ქართველი ოსტატი ამ წესს არ არღვევს. გრ.  
აბაშიძის პირველი ორტაქპედი ასე გამოიყურება:

ბედი არ მაქვს და არ მწყალობს ღმერთი,  
სულს მიღგამს მხოლოდ იმედი ერთი.

კხედავთ, ათმარცვლიანი ლოგაედური ტაქტები მსუბუქად იკითხება, ისე, თითქოსდა რვამარცვლიანები იყოს. მოძებნილია ზუსტი რითმა: **ღმერთი – ერთი.** გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს სხვა ოსტატობაც: ქმნილება რომ ხალხმა მიიღოს, მასში უნდა იყოს მიმობნეული ეროვნული თქმები, იდიომები. უნიჭიერესმა გრ. აბაშიძემ ეს, რა თქმა უნდა, იცის. ამიტომაცაა, იყენებს ამ მოგებიან ხერხს და ორივე ტაქტში იყენებს მას. პირველშია: „არ მწყალობს ღმერთი”; მეორეშია: „სულს მიღგამს იმედი”. „ღვთის წყალობა” და „სულის ჩადგმა” ერთობ კოლორიტული ენობრივი საქცევებია. მათი მომარჯვება ბუნებრივ, ეროვნულ-ქართულ იერსა სძენს ნათქვამს.

ყოველივე ეს კეთილადსაქმელს ხდის „ნათარგმანევს”.

პოეტი ქალის ნახელავი ყველა ამ კომპონენტში მოიკოჭლებს, აი, ელენესეული ორტაეპედი:

არც ბედი, არც გაქანება... დარდით აღვსილან  
ეს წლები,  
გადამრჩენია ნუგეშად მე მხოლოდ ერთი იმედი.

ვხედავთ: ტაეპი დაგრძელდა. მაშ, მეტრმა დე-  
დანს (ორიგინალს) გადააჭარბა. ეს კი მაშინ  
ხდება, როდესაც მარჯვედ ვერ გადმოგაქვს სხვა  
ენაზე არსებული მასალა და ისედაც. მე ვიცნობ  
ორ ავტორს. ერთმა გამოიყენა 5 სიტყვა და აზ-  
რი ასე გამოხატა: **ჩემ მიერ ლობიო იქნა შეჭმუ-  
ლი.** მეორემ უწოდა მას ენის არმცდონე და ას-  
წავლა: ამ აზრს მე, ქართულის მცოდნე, ორი  
სიტყვითაც გამოვხატავო, და მოიყვანა სინტაგმა:  
**ლობიო შევჭამე.**

სწორედ ზედმეტსიტყვაობამ გაწელა საზომი  
და მივიღეთ 16 მარცვლიანი ლექსი, ანუ შაირი  
(დაბალშაირი).

მეორე ნაკლი: ენობრივი უმწეობაა „დარდით  
აღვსილან ეს წლები“. დარდით ივსება პიროვნე-  
ბა და არა – წლები. ასევე უმწეოა: „გადამრჩე-

ნია ნუგეშად”. გვაქვს მყარი შესიტყვება: „ნუგე-შად დამრჩენია”. **გადამრჩენია უზუსტოა.**

მესამეც: გრ. აბაშიძეს მოუხმია 12 სიტყვა, ელ. ბაქრაძეს – 14, მაგრამ რა თქვა ისეთი, რაც გრ. აბაშიძეს არ უთქვამს? – არაფერი!

მეოთხეც: თუ გრ. აბაშიძეს ბრწყინვალე უზუსტესი რითმა გამოუძებნია, ქნი ელენე ამ მხრივაც ჩამორჩება მას. მისი რითმა ფაქტობრივად არც კია რითმა: **წლები – იმედი.** სხვათა შორის, ამგვარი „დაშვება” ელ. ბაქრაძის ლექსებში (სადაფოშიცა და უდაფოშიც) ჩვეულებრივი ამბავია!

ახლა მეორე ბეითი შევათვალიეროთ. ჯერ ელენესეული ორტაეპედი გავსინჯოთ:

**წაგალ ჩემს უკრაინაში, ვფიქრობ, კვლავ ვნახავ  
ჩემს მსარეს,  
თვალს გადავავლებ სამშობლოს, მინდვრებით  
კვლავ გავიხარებ.**

დედანში რომც არ ჩავიხედოთ, ისედაც გხვდებით: ამ სტროფში მთარგმნელი „ბუქსა-

ობს”, ერთსა და იმავეს სხვადასხვა სიტყვით გა-  
მოხატავს. ესე იგი, დროსა და ადგილს ამაოდ,  
ფუჭად ხარჯავს. მაგალითად, ერთსა და იმავეს  
გამოხატავს სამი ერთეული: ჩემს უკრაინაში,  
ჩემს მხარეს, სამშობლოს.

აი, რამ გაწელა ტაქპი.

არადა XII საუკუნეში ითქვა: გრძელი სიტყვა  
რომ მოკლედ და სხარტად ჯდება ლექსში, ამი-  
ტომ სჯობს შაირი პროზასო. აქ ეს მცნება ირ-  
ღვევა.

რაც შეეხება რითმას, ნორმალურია, ოდონდ  
არა ისე მუსიკალური, როგორც აბაშიძისა. ბაქ-  
რაძისაა: **მხარეს – გავიხარებ.** ბევრად უფრო მუ-  
სიკალურია და მართლაც რომ ნანინასავით ჩაგ-  
ვესმის ბატონ გრიგოლის ბგერათშეხამება: უკრა-  
ინას – ნანინას.

**რომ ვნახავ ისევ ჩემს უკრაინას  
და კვლავ მოვისმენ მის ტკბილ ნანინას.**

ე. ბაქრაძის თარგმანში თავი იჩინა ძველმა  
სიმბოლისტურმა გატაცებამ, ბგერწერით გატაცე-

ბამ. ერთგან ასეთი სიტყვებია მობილიზებული:  
„და შემდეგ მშვიდად შევხვდები...” „შ” ბგერის  
აშარიშურება, ვფიქრობ, ძველი სიმბოლისტური  
„გადმონაშთია”.

ოდონდ ზოგჯერ ე. ბაქრაძეც ახერხებს თვა-  
ლი გაუსწოროს მოწინავე მგოსნებს. ლესიას  
„მუზისადმი” თარგმნეს ოთარ ჭილაძემ და ე.  
ბაქრაძემ. ვერ ვიტყვით, რომ ბრწყინვალე ლირი-  
კოსმა ო. ჭილაძემ ამ შემთხვევაში აშკარად  
აჯობაო ქნ ელენეს. ვიტყოდით მეტსაც. ბოლო,  
დასკვნითი, აკორდი ამ ლექსის გვირგვინია. აქ  
ბაქრაძე, ვფიქრობთ, უკეთესად ირჯება, ვიდრე  
ო. ჭილაძე. ჭილაძე ასე ასრულებს ქმნილებას:

და ჩემს სხეულზეც, თუნდაც ერთხელ და  
თუნდაც წამით,  
ვიგრძნო ციური შენი სუნთქვა და  
ბრწყინვალება.

მთლად გერგილიანად ვერაა თქმული: მუზავ,  
შენი სუნთქვა და ბრწყინვალება მინდა ვიგრძნო  
ჩემს სხეულზეო.

აზრობრივადაც უკეთ გამართულია და პოეტურადაც უფრო გამომსახველობითია ქნი ელენესეული კადენცია, მიმართული მუზისადმი:

რომ ჩემს სახეზე მომეფინოს შენი სხივები,  
თუნდ ერთის წუთით მინდა გავხდე შენით  
ადსავსე.

წადილი, გახდეს მუზით ადსავსე პოეტურიცაა და ლოგიკურიც.

ლესია უკრაინკას ერთი ლექსის ერთი ხანაირ. აბაშიძეს ასე გადმოუკენებია:

მე მიუდგომელ კლდეზე, შიშველზე,  
ავზიდავ ლოდებს დიდსა და მძიმეს  
და ამ შრომის დროს კვლავ შემოვმახებ  
ჩემს საგალობელს, ჩემს ჰანგს და იმედს.

გვგონია, არანაკლები ძალითა და ემოციით  
გადმოუდია ეგ მონაკვეთი პოეტ ქალსაც:

წაგალ ციცაბო და კლდოვან მთაზე,  
თან ლოდს ავიტან, დიდს და საშინელს  
და დატვირთული სიმძიმით, გზაზე

## ქვეყანას მოვდებ სიმღერას ძლიერს.

დედანში არსადაა მითითებული ლოდების აზიდვაზე. ეს მრავალგზისი კატეგორია! მაშ, ირ. აბაშიძეს ეგ მომენტი მხედველობიდან გამოჰკარვია. პოეტესას სწორად უწერია: ჩემს **სიზიფეს ლოდს** ავიტან მთაზეო! მაშ, ირ. აბაშიძეს მოუვიდა დიდი „იაღლიში”, სიზიფეს მითის არცოდნა გამოავლინა და ერთი მძიმე ლოდი ლოდებად გადააქცია. დიდად განათლებულ ელენე ბაქრაძეს ასეთი რამ არ შეეშლებოდა და არცა შეშლია. აქეე შევიხსენოთ ერთი მისი ბიოგრაფიული მომენტი: მან პაოლოსაც კი აჯობა ცოდნა-განათლებით. კერძოდ, პაოლოს, როგორც ლამაზ და წარმოსადეგ ვაჟაპატას, უწოდა **დორიანი** (დორიან გრეის სილამაზეს შეადარა პაოლოს სილამაზე). ეგ შედარება-ნება თავდაპირველად მოეწონა იაშვილს, რაკი სიმბოლისტური რომანის შინაარსი არა სცოდნია, ოღონდ, როცა ე. ბაქრაძემ უამბო ამ პერსონაჟის „ცისფერობის” ამბავი, პაოლოს, ქართველ ვაჟაპატას, აღარ ეჭაშნიკა ამ-

გვარი ნესბის (ზედმეტსახელის) ტარება და უფრო გაქართულებულ-გალამაზებული (დარიანი) უკანვე დაუბრუნა „ნათლიას” და ასე მონათლა თავისი თავდაპირველი ნათლია: **ელენე დარიანი.**

აღნიშნული სტროფის თარგმანით პოეტესამ ბრწყინვალე ირ. აბაშიძეს სხვა მხრივაც აჯობა. ქნმა ელენემ მოახერხა არა მარტო სიზუსტე დაეცვა, ჯვარედინი შერითმვის პრინციპიც ბოლომდე გაატარა: **მთაზე – გზაზე; საშინელს – ძლიერს.**

ამრიგად, არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც, შესაძლოა, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს მოქმედნოს.

ახლა ერთურთს შევუდაროთ ოთარ ჭილაძისა და ე. ბაქრაძისეული თარგმანები ლექსისა „შორეული გაზაფხული”. ნიმუშად ავიღოთ ქმნილების ცენტრალური იდეის გამომხატველი ხანა. ეგ გახლავთ მესამე პოეტური მონაკვეთი. ო. ჭილაძე:

გფიქრობდი: ყველას გაუხსნა წარბი,  
საჩუქრით ყველას გაუთბო მკერდი,  
მე კი... მე აღარ ვახსოვარ ალბათ,  
აღარ სცალია გაზაფხულს ჩემთვის.

ლექსის მთავარი იდეა ეგ არის: გაზაფხული  
ყველას მიეგოგოჩა, მაგრამ მე, ავადმყოფი, ჭლე-  
ქით მოცული, აღარ ვახსოვარო. ესაა წმინდა  
რომანტიკული ამონაკვნესი.

გხედავთ: ო. ჭილაძის საამდროო რითმები  
სუსტია, უფერულია: წარბი – ალბათ; მკერდი –  
ჩემთვის.

პოეტესა წერს:

და მე გფიქრობდი: გაიხარებო ამ გაზაფხულით,  
ყველას მოგიტანთ ის საჩუქარს, ფერადიანი;  
მან მხოლოდ ჩემთვის ვერ მოინახა ვერც გზა,  
ვერც გული,

მე დამივიწყა გაზაფხულმა, თვალსევდიანი!

ვამჩნევთ მშვენიერ რითმებს: გაზაფხულით –  
გული; ფერადიანი – თვალსევდიანი.

სხვა მხრივ ტექსტები დაახლოებით თანაბარ-  
ღირებულია.

ვფიქრობთ, სურათი ნათელია: როგორც  
მთარგმნელი, ელენე ბაქრაძე არც ისე ხელწამო-  
საკრავი შემოქმედია, თუმცა უბრწყინვალეს  
მგოსნებს ვერა და ვერ შეედრება. მიუხედავად  
ამისა, შეუძლებელია ითქვას, რომ ამგვარი თარ-  
გმანების, კულტურისა და ცოდნის ქალბატონს  
არ შეეძლო დაეწერა „დარიანულის” ძირი ლექ-  
სები, დედნები.

## იძულებითი მისტიფიკაცია

შესწავლილი მასალებიდან ირკვევა: 1910-იან  
და 1920-იან წლებში ჩვენი საზოგადოება ჯერ  
კიდევ არ იყო მზად ეროტიკული და მეტად თა-  
ვისუფალი პოეზიისა და პროზის მისაღებად. და  
ეგ იმ დროს, როცა ამ მხრივ რუსული კულტუ-  
რული საზოგადოება უფრო თავისუფალი და მი-  
დებისუნარიანი გახდდათ. ეს ბუნებრივია იმ სა-  
ზოგადოებისათვის, სადაც „ქალწულობის ინსტი-  
ტუტი“ დღესაც კი მძლავრად აუმჯშავებია. ამი-  
ტომაც თუ იყო, რომ საზოგადოებრივად მიუღუ-  
ბელი „უცენზურო“ ლექსების წაკითხვა მამაკაც-  
მა პ.იაშვილმა იკისრა. საარქივო და სხვა მასა-  
ლებიდან, ასევე გ. ჯავახიშვილის ნარკვევებიდან  
მკაფიოდ ჩანს: იმისათვის, რათა გადარჩენილიყო  
მშვენიერი განცდებისა და ქალური ინსტინქტუ-  
ბის ჭეშმარიტად გამომხატველი ქმნილებანი, ე-  
ბაქრაძისეული დედნები პ. იაშვილს ჩაუბარებია  
და მათ ჰპატრონებია. ასე გამხდარა იძულებული  
დიდი პოეტი, მიემართა მისტიფიკაციისათვის: აგ-

ტორის სახელი შეენარჩუნებია, ხოლო დორიან გრეის სახელი დარიანად ექცია და შეექმნა ლა-მაზად ჟდერადი სიმბოლისტური ფსევდონიმი ელენე დარიანი. მაშასადამე, ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, **იძულებითი მისტიფიკაცია**.

ახლა ძალიან მოკლედ მიმოვინილოთ იმ-დროინდელი ვითარება, რაც დადასტურებული ფაქტია.

1. ნამდვილი ფაქტია ის, რომ 1915 წელს „პ. იაშვილმა წაიკითხა ქართველი ქალის ელენე დარიანის ლექსები, რომელთაც საზოგადოება გააკვირვეს თავისი საოცრებით და გაბედულებით. ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქა-ლი თეატრიდან გავიდაო” („თეატრი და ცხოვრება”, №40, გვ. 15, 1915 წ.).

2. ნამდვილი ფაქტია ის, რომ ვინმე „სტუდენტმაც” გამოხატა იმუამინდელი საზოგადოების უარყოფითი აზრი „გამრყვნელი” თხზულებების გამო: „ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ ქართველი ქა-ლი ამრიგად დაცემულიყოს” (გაზ. „სამშობლო”, 1916, 9 მარტი).

3. ნამდვილი ფაქტია: ცნობილმა მწერალმა ია ეკალაძემაც კონსერვატორთა მხარე დაიჭირა. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები: „სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა პოეზია”. „აფსუს, შოთავ, აფსუს, აკაკი... ვაჟავ, აფსუს, ჩვენო დიდებულო ხალხურო პოეზიავ, როცა შენს ადგილს, რადაც ბოდვას, ხმის უცნაურ აწევ-დაწევასა და „ნიფხავ-პანტალონების” ხოტბა-დიდებას აჭერინებ” („სამშობლო”, 1916, 15 ოქტომბერი).

4. უტყუარი ფაქტია, რომ მომავალმა უზარმაზარმა მწერალმა ლეო ქიაჩელმაც კი კონსერვატიული მხარე დაიჭირა: „ელენე დარიანის მდგომარეობა ფრიად საშიშია. მას ტემპერამენტი აწეული აქვს. სულიერი საუნჯე ელენე დარიანს არ გააჩნია... მასში არაფერია: არც სინაზე, არც უმანკოება, მოკრძალება, ტლანქია. ჩვენს პოეზიას ის ვერაფერს შეჰმატებს. სულით დატაკმა და ტანით შიშველმა ან რა უნდა მოგცეს?” (გაზ. „სამშობლო”, 1916, №363).

5. უტყუარი ფაქტია ისიც, რომ კრიტიკოსი კიტა აბაშიძე მიესალმა ახალი პოეზიის შემოხ-

ვლას, ოღონდ კონსერვატორულმა საზოგადოებამ ისიც გააშავა. მას „პორნოგრაფისტების დამკველი” უწოდეს (გაზ. „თანამედროვე აზრი”, 1916, №59).

6. ფაქტია: იაზონ ბაქრაძე, ელენე ბაქრაძის ბიძა, დაეჭვებული სწერს ელენეს: ზოგს ეჭვი აქვს, რომ ეგ ელენე დარიანი შენა ხარ. მე არა მგონია, ეს ლექსები შენი იყოსო. მერე არჩევს ამ ლექსებს და უარყოფს მათ მნიშვნელობას. მოყვარული ბიძის ეჭვი ერთობ საგულისხმოა.

7. ფაქტია, რომელსაც ვერ უარყოფთ: ხელთა გვაქვს თვით პაოლო იაშვილის ერთსტროფიანი აღიარება-ხელნაწერი, ანუ ფაქსიმილე, სადაც ჩანს, რომ ელენე ბაქრაძეს მისთვის გასასწორებლად, მოსაგლელად და დასაბეჭდად მიუკია ლექსები. აი, ეგ სტროფიც:

შენი ლექსები მე მაბარია,  
როგორც ბაგშების წმინდა კრებული,  
მაგრამ მოწყენით ხშირათ არიან  
შენი ალერსის დანატრებული.

ამ აღიარებას თავში აწერია – **ელენე დარიანს**, ხოლო ქვეშ მიწერილი აქვს ხელრთვა-ფაქტისიმილე: **პაოლო იაშვილი** (გ.ჯ. 157).

ფაქტობრივად ეგ არის დოკუმენტი, ხელწერილი.

8. ამ ფაქტს ერთგვარად ეხმაურება ელენე ბაქრაძის ზოგ ლექსში გამოხატული წუხილიც.

**ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე...**  
**...დიდი მოთმენა მოვიახლე და შევითვისე...**

ხოლო მარიჯანისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც „დარიანულის“ ერთ შედევრს არაერთი გამოთქმით ენათესავება, ვკითხულობთ:

**იყავ დღეგრძელი! ჩემს გულისტკიფილს  
სულ სხვა თაობა გაასამართლებს!** (გ.ჯ. 156)

ამ ბოლო სიტყვაში – „გაასამართლებს“ დიდი აზრია ჩატეული. აქ იგულისხმება ის უსამართლო „გაასამართლება“, რაიც 1915-1916 წლებში მოუწყეს დარიანულებს, და ის „გაასამართლე-

ბაც”, რომელსაც XXI საუკუნეში ჩვენ მოვუწყებდით მათ.

ამრიგად, დედნების პაოლოსათვის გადაცემა დოკუმენტურად მტკიცდება და ჩვენ მომსწრენი გავხდით იძულებითი მისტიფიკაციისა.

ახლა კი გადავიდეთ ჩვენი ნარკვევის უმნიშვნელოვანეს ქვეთავზე: ვინ მუშაობდა და რა სახის შესწორებები შეუტანია დედნების ტექსტში.

## პაოლო იაშვილი – დარიანულების რედაქტორ-მისტიფიკატორი

უნდა ვაღიაროთ: დარიანული ციკლის ტექსტები ძლიერ წააგავს პაოლო იაშვილის ელვარე შედევრების სტილს. ეგ ტექსტები უფრო ახლოა პაოლოს ქმნილებებთან, ვიდრე ელენე ბაქრაძის პოეტურ ხელწერასთან. ამას უნდა მოეძებნოს ახსნა. ჩვენი თვალსაზრისი ასეთია: პაოლომ ჩაიბარა ლექსები, მათ გაჰქრა თავისებური პოეტური შალაშინი და, როგორც ბუნებრივი ალმასი ხდება უნიკალური ბრილიანტი ტყვიის დაფაზე ხახუნით, ისე გამოიყვანა დედნებისაგან (ალმასისაგან) გადამუშავებული ალმასი, ანუ ბრილიანტი. არის ცნობაც, რომ ამ საქმეში მას სხვა პოეტებიც ჩაურთვია. ერთ მათგანზე კი დანამდვილებით ვიტყვით – ეგ გახლავთ გალაკტიონი.

ამგვარი თანამშრომლობა არ უნდა გაგვიპორდეს. ამისი მაგალითები ჩვენს ლიტერატურაშიც მოიპოვება. ყველაზე ცნობილს მოგაგონებთ.

დღემდე სადავოდ არის გამხდარი, თუ ვინ არის ჭეშმარიტი მთარგმნელი ქართული „ქილილა და დამანასი”. საქმეში კი ორმა კაცმა ჩართო ხელი. ესენი არიან ვახტანგ მეექვსე და სულხან ორბე-ლიანი. საბოლოოდ გაიმარჯვა აზრმა, რომ მას ხელი უნდა მოაწეროს ორივემ. ამიტომაც თუა: 1975 წ. მაგალი თოდუამ რომ გამოსცა ეს შედევ-რი, საჩინო ადგილას მიუთითა: „სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულ-ხან-საბა ორბელიანის მიერ” (ქილილა და დამა-ნა, თბ., 1975).

და ეს სწორია, ვინაიდან ვახტანგის პწკარე-დული უხეში თარგმანი ორბელიანმა მძლავრი რედაქტორული ხელით ჩაასწორა, მიანიჭა მას მხატვრულ-პოეტური ელგარება.

რადაც ამდაგვარი მომხდარა ჩვენს შემთხვე-ვაშიც და შევეცდებით ამის დასაბუთებას.

**ჯერ** გადმოცემებს მივყვათ.

1. ელენე ბაქრაძეც აღიარებს, რომ პ. იაშვი-ლი მის ლექსებს კიდეც ასწორებდა, კიდეც რე-დაქტორობდა და კიდეც მფარველობდა, როცა

მრავალ ლექსია თუ მოგონებაში აღიარებს: ჩვენ  
ერთნი ვიყავით, ჩვენ ერთიანი ვიყავით. როგორც  
შემოქმედნი, ჩვენ ერთმანეთისაგან გაუყოფელი  
ვართო.

2. თვითონ პაოლო, როგორც ზემოთ ვუჩვე-  
ნეთ, პირდაპირ იურიდიულ დოკუმენტსა ქმნის,  
როცა ფაქსიმილეთი გვიცხადებს: მე მივიბარე  
ელენე ბაქრაძის ლექსები, როგორც ბავშვის  
ხელგარჯილობა, რათა მათზე მეზრუნაო. ზრუნ-  
ვად იგულისხმება დახვეწაც (მისი თუ სხვისი  
ხელით), დაბეჭდვაც და შემდგომ მათი დაცვა  
კონსერვატორთა შემოტევებისაგან.

3. ელენე ბაქრაძემ სამი ლექსი საჭაშნიკოდ  
გადასცა პაოლოს. ესენია: „ძახილი”, „გათავდა  
ნადიმი” და „ზამთარში”. პაოლომ ისინი გამოაქ-  
ვეყნა გაზ. „მეგობარში” და უკვე აქ გამოჩნდა,  
რომ ეს იყო მისი რედაქტირებული ტექსტები. ამ  
შემთხვევაში ხელჩასაჭიდებელი გვაქვს სათაუ-  
რისადმი პაოლოს მოპყრობა. ეს სწორედ რედაქ-  
ტორული მუშაობაა. მეორე ლექსის სათაური  
„ჩემი თავადი” პაოლოს არ მოხსენებია, გადაუშ-

ლია და უსათაუროდ დაუბეჭდავს. აქვე შევიხსენოთ: კ. გამსახურდია სწერდა მის საყვარელ მე-გობარ ელენე ბაქრაძეს, შენ სათაურის გამოძებნა გიჰირსო. ამ მხრივ კ.გამსახურდია და პაოლო ერთ მხარეს დგანან.

მაშ, ასე, სათაური მოუხსნა პაოლომ ელენეს, ოფონდ ჯერ ჩვენ არ ვიციოთ, ტექსტებში რა ცვლილებები შეიტანა.

4. დასტურდება, რომ პაოლო ე. ბაქრაძის (დარიანის) ზოგ ლექსე სხვა ძლიერ სიმბოლის-ტებსაც აძლევდა სარედაქციოდ, გასარანდავად. ამას მოწმობს გალაკტიონის აღიარება: „პაოლო შენს ლექსებს რედაქციისათვის ხანდახან მე მაძლევდაო” (გ.ჯ. 55). თავად ე. ბაქრაძეც კი აღიარებს თავის მოგონებებში ერთგან: „ის ზოგ-ჯერ რაიმე სტრიქონის შეცვლას მიუღებელ გა-მახვილებასაც აძლევდა” (გ.ჯ. 55).

მივაქციოთ ყურადღება: ზოგ ჩემს სტრიქონს „მიუღებელ გამახვილებას აძლევდა”. ეს ნიშნავს: პაოლო ზოგ ტაქს აძლიერებდა, ამახვილებდა, წინ წამოწევდა. პოეზიაში კი სწორედ ეს ქმნის

ლექსის სტილისტურ ელგარებას. პოეზიაში სიტყვის, სინტაგმის, სტრიქონის დალაგებასა და ადგილის მიჩენას უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება.

ამის შემდეგ გადავიდეთ ჩვენთვის ხილული აშკარა რედაქტირების ფაქტებზე.

სანიმუშოდ ავიღოთ ლექსი „უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი”.

ელენე ბაქრაძის არქივში დაცულია ტექსტის პირვანდელი ვარიანტი. აი, პირველი სტროფი:

**აი, მოვიხსენ ტანზე საფარი!**

გადახსნილ მხრებსაც მოელანდა შეხება შენი,

ვნებიან გზაზე ჩამობნელდა, არ ჩანს არავინ,

ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი.

(გ.ჯ. 89)

ვხედავთ: ერთგვარად უბადრუკია გამოთქმა – „აი, მოვიხსენ ტანზე საფარი!” ჯერ ერთი, საფარი არ ნიშნავს ტანსაცმელს. ის სულ სხვა ცნებაა. თანაც ფრაზა ერთგვარად პროზაულია. აი, როგორ აელგარდა და კალმახივით ასხმარტალდა იგი უფრო დიდი ოსტატის ხელში: „უკანას-

კნელი მოვიხსენი ტანსაფარავი” („ცისფერი ყან-შები”, №1, 1916). აი, აქ ხდება „მიუღებელი გა-მახვილებაც”: ქალი მიუთითებდა, ტანსაფარავი გავიხადეო. მაშ, საცვლებიანად მაინც დარჩენი-ლა. მამაკაცი უფრო შორს მიდის ეროტიკის გზაზე: „უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი”. ე.ი. დარჩა ტიტლიკანა! რიტმიც მწყობრში ჩადგა – გახდა 14 მარცვლიანი. ეს ზომა პაოლოს ყვე-ლაზე მეტად ესულგულებოდა. სწორედ ამ საზო-მით შექმნა თავისი ყველაზე უკეთესი ქმნილებე-ბი. ე.ბაქრაძის 10 მარცვალი მან 14 მარცვლიან ლექსად აქცია და ამით სხვა სტრიქონებსაც შე-უსაბამა. ეჭვი არაა, რედაქტირებულსა და დედ-ნისეულს შორის ესთეტიკური უფსკრულია გა-წოლილი. იგივე ვითარებაა მეორე ტაქტიც. დე-დანშია უგერგილო სიტყვა „გადახსნილი”:

**გადახსნილ მხრებსაც მოელანდა შეხება შენი.**

„გადახსნილი” შეიძლება სხეული იყოს ქი-რურგის მაგიდაზე. ის უსიამო შეგრძნებას იწ-ვევს. პაოლოს ან გალაკტიონს მოუძებნიათ უკა-

თესი საწყისი სიტყვა – დადუმებული. ახლა ტა-  
ეპი უფრო პოეტური გახდა. მაგრამ ამითაც არ  
დაკმაყოფილებულა დიდი ოსტატი: „შეხება შე-  
ნი” გადააკეთა ასე: „შეხება ნელი”. ამით ორი  
საქმე გააკეთა. ჯერ ერთი, ნელი შეხება უფრო  
მეტ სინაზეს აფიქსირებს; მეორეც ელენეს რით-  
მა გამოსდიოდა უაღრესად უხეში: შენი – უპა-  
ნასკნელი. პაოლომ ეს ნაკლიც გამოასწორა: ნე-  
ლი – უპანასკნელი. ასე რომ, მეორე ტაუკმაც  
ამოისუნთქა:

**დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი.**

ელენე ბაქრაძისეულ ვარიანტსა და პაოლო-  
სეულ ტაეპს შორის ისეთი ესთეტიკური სხვაო-  
ბაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. მაგ-  
რამ პოეტი ქალის ენობრივი უმწეობა ბოლომდე  
მაინც ვერ გამოასწორა ჩვენმა რედაქტორმა. არ  
არსებობს არავითარი „დადუმებული მხრები”.  
დადუმებულია ენა, ადამიანი, მდინარეც კი,  
ოღონდ მხრები – არა! მხრები შეიძლება იყოს

მთრთოლვარე, ფართო, განიერი, ჩამოყრილი და  
ა.შ.

მძლავრი რედაქტორული ჩარევა გრძელდება  
მომდევნო ტაეპებშიც. ელენეს ჰქონდა:

**ვნებიან გზაზე ჩამობნელდა, არ სჩანს არავინ,  
ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი.**

ვნებიანი შეიძლება იყოს ადამიანი, ქცევა,  
ოლონდ არა გზა. პაოლომ იგი შეცვალა ასე –  
**სავნებო გზა.** ეგ მისაღებია, რადგან **სავნებო**  
**გზას** ადგას ლირიკული გმირი – ქალი.

ახლა მეოთხე ტაეპი.

თამამ ეროტიკულ ლექსში უადგილოა იხმა-  
რო ისე წმინდა და ამაღლებული ცნება, როგო-  
რიცაა **ბავშვი** ანდა **ბავშვობა.** ეს ყოვლად დაუშ-  
ვებელია ესთეტიკური თვალსაზრისითაც. ამას  
ხედავს მახვილი პოეტური თვალის მქონე იაშვი-  
ლი (ანდა გალაკტიონი) და ვითარებას ასე შვე-  
ლის:

**სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი.**

ამ ტაგბში სხვა უხეში შეცდომაც იყო. ეს არის ცნება „ვიღალადე”. იგი სრულიად არღვევს იმ წენარ, ინტიმურ, ჩუმ ვითარებას, რომელსაც ოთახში დაუვანებია. მაშ, **დაღადი** სრულიად ანგრევს საჭირო განწყობილებას. ამიტომ აქ უპრიანია შესატყვისი, უფრო წენარი და მოალერსე, არა მაჟორული, არამედ მინორული **ვიგალობე**.

დასკვნა პირველდასაწყისი სტროფისათვის:

პაოლო იაშვილმა მოცემული კარგი მასალა დახვეწა, შეცდომები გამოასწორა, რითმა შეახა-მა და ეგ პოეტური მონაკვეთი ესთეტიკურად უფ-რო მაღალ დონეზე აიყვანა.

სწორების ეგ წესი მოქმედებს მომდევნო ხა-ნაშიც.

ელენეს ჰქონია ასეთი მეორე სტროფი:

ჩამეძინება... სიზმრებია ზანტი და მდორე,  
დამიწყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები,  
ძილში ვიღაცა დამაკვდება, მეამბორება,  
ვნების სურვილით მეღუნება მწარედ მუხლები.

სტროფში დაშვებულია ბევრი ფსიქოლოგიუ-რი, ფიზიოლოგიური, ენობრივი და პოეტიკური

შეცდომა, რაც მის მჟღელობას აფერხებს, ასუსტებს. რედაქტორმა ყველაფერი ეს შეამჩნია და გამოასწორა.

პირველ ტაეპში მოცემულია სტატიკა. მას აკლია დინამიკა. გარდა ამისა, ფიზიოლოგიური შეცდომაცაა. სიზმარი არ არის არც ზანტი, არც მდორე. პირიქით, ის, ჩვეულებრივ, მოძრავია, დინამიკურია. ამიტომაც პირველი ტაეპი ასე გაიმართა:

**დამებინება... გათავდება ზანტი ზმორება.**

აქ დინამიკაც შემოვიდა და თანაც მან შემოიტანა „ზ” ბგერის აბგერწერება: **ზანტი ზმორება;** მესამე საქმეც გაკეთდა. თუ სარითმო წყვილი გამოდიოდა ნაკლული: **მდორე – მეამბორება,** ახლა გამოვიდა ათჯერ უკეთესი: **ზმორება – მეამბორება.**

აი, რასა ნიშნავს ნამდვილი რედაქტორის ჯადოსნური ხელი!

პიდევ უფრო დიდი შეცდომა გამოუსწორებია პაოლოს მეორე სტრიქონში. იქ ეწერა:

**დამიწყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები.**

ესაა ფიზიოლოგიური ტყუილი. ქალის **გული** კი არაა ხელუხლებელი, არამედ – **მკერდი**. სულ სხვაა გული, სულ სხვაა მკერდი! ამიტომაც მეორე ტაეპი ასე გასწორდა:

და დამშვიდდება ჩემი **მკერდი**, ჯერ **ხელუხლები**.

მესამე ტაეპში უხეშად უღერს „დამაკვდება”. ესეც გასწორდა და ტაეპი ასე აუღერდა:

**ძილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ეამბორება.**

ე. დარიანთან გაურკვეველი იყო, ვინ გახლდათ ის ვიღაც: ქალი თუ კაცი:

**ძილში ვიღაცა დამაკვდება, მეამბორება.**

პაოლომ დააკონკრეტა – ეს არის „ვიღაც ვაჟი”. ესე იგი, ვნება ქალვაჟურია, არაა მთლად ლესბოსური. ისეც გაგიშებულ ქართველობას კიდევ მეტი გაგიჟება უნდოდა?!

ყველაზე გაუმართავი მაინც მეოთხე სტრიქონი გახლდათ:

**გნების სურვილით მეღუნება მწარედ მუხლები.**

ფიზიოლოგიური შეცდომაა „გნების სურვილით”. აქ სურვილი კი არაა გამოხატული, არა-

მედ უკვე დამდგარი ვნება, პროცესი. ამიტომაც პაოლომ ვითარება სწორად გაიაზრა:

**და ვნებისაგან იღუნება ჩემი მუხლები.**

აქ უკვე დამდგარი ვნებაა გამოსახული, მისი პროცესი და შედეგია ნაჩვენები.

არის კიდევ ერთი ნიუანსი. ე. დარიანს ნახმარი ჰქონდა უადგილო სიტყვა „მწარედ”: „ვნების სურვილით მეღუნება **მწარედ** მუხლები”. „მწარედ” სრულიად ანგრევს აღწერილ ვნებიან ვითარებას. ამ შემთხვევაში არც ქალს, არც ვაჟს „მწარედ” არ ეღუნება მუხლები, პირიქით, „ტკბილად ეღუნება”. გარდა ამისა, ენობრივი შეცდომაცაა „მუხლების მწარედ მოღუნვა”.

რედაქტორის ჯადოქრული ხელი ისე დაეტყო მესამე ხანას, როგორც მოცარტისა – სალიერის ნოტებს. აქ დღესავით ნათლად ჩანს შემოქმედებითი რედაქტირების ავანჩავანი.

ელენე დარიან-ბაქრაძის ბოლო სტროფი ასე-

თია:

დილის რიურაჟი გამომტაცებს ცხელ ადამიანს,  
ჩემს ნაზ სიყვარულს შენზე დარდი პვლავ  
მომემატა,  
და გამწარებულს უცხო კოცნით ქალ-ადამიანს,  
გონზე მომიყვანს ბუხრის ძირში გამთბარი კატა.

პირველ ტაეპში რამდენიმე ენობრივი შეცდო-  
მაა. სისულელეა „დილის რიურაჟი”. პაოლომ იგი  
შეცვალა უდავო მეტაფორით: „მზის აყვავება”.  
მეორეც, არ არსებობს „ცხელი ადამიანი”. არის  
„ცხელი უდაბნო”, „ცხელი ქვიშა”, „ცხელ-ცხე-  
ლი ხაჭაპურები” და ა.შ. რედაქტორმა უგერგი-  
ლო ეპითეტი შეცვალა ვითარების შესატყვისით  
– მწველი. „მწველია ადამიანი”, ვინც სიყვარუ-  
ლით წვავს და ხრუკავს ლირიკულ-ეროტიკულ  
გმირ ქალს; სრულიად გაუმართავი იყო მეორე  
სტრიქონი: „ჩემს ნაზ სიყვარულს შენზე დარდი  
კვლავ მომემატა”. ეს აბსურდი იაშვილმა საოცა-  
რი ტაეპით ჩაანაცვლა:

ჩემს შეყვარებას მოგონების მწუხად რომ დარჩა.

ე. ბაქრაძის მესამე ტაეპიც ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ურჩობას აკლენს. ჯერ ერთი, უშნოა „ქალ-ადამიანს”. მეორეც, უცხო კოცნიოთ გამწარებული რად იქნება? ვნება არ არის ის, რაც ამწარებს ან სიმწრის განცდას ბადებს. ეს ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური შეცდომაა. ერთხელ უპვე გაასწორა რედაქტორმა და ახლაც ასწორებს. ამიტომ მესამე ხაზი ასე აჟღერდა:

და დაღონებულ ვაჟის კოცნას სულ ერთ წამიანს.

აქ რითმაც გასწორდა. დედანში ასეთი რითმები იყო: ადამიანს – ადამიანს, მომემატა – კატა. I წყვილი ტავტოლოგიური რითმა იყო, რაც ნაკლებს ფასობს ცისფერყანწელთა ბაზარზე. პაოლოს გამოუვიდა ასე: ადამიანს – წამიანს, დარჩა – ფარჩა.

მეოთხე ტაეპი სრულიად გაურკვეველია დედანში: უცხო კოცნიოთ გამწარებულ ქალ-ადამიანსო „გონზე მომიყვანს ბუხრის ძირში გამთბარი კატა”. ჯერ ერთი, რად მოიყვანს გონზე, უმოტივოა; მეორეც, არ ვარგა გამოთქმა „ბუხრის ძირ-

ში”. ბუხარს ძირი არ აქვს. უნდა ყოფილიყო ბუხართან გამთბარი კატა. ყველაფერი ეს გამოასწორა იაშვილის ფრაზამ:

**გარდისფერ დილით აელვარებს ცის ლურჯი ფარჩა.**

სრულიად სიმბოლისტური ტაეპია, სადაც ეპითეტი გარდისფერი რიურაჟს გულისხმობს, ხოლო მეტაფორა „ცის ლურჯი ფარჩა” სიმბოლისტთა საყვარელ ფერს კიდევ ერთხელ მოგვაგონებს.

ამ ერთი ლექსის დეტალურმა სტილისტურ-შემოქმედებითმა მიმოხილვამაც კი ნათელი გახადა, თუ რა დიდი როლი შეუსრულებია დედნის ტექსტის მაღალმხატვრულ შედევრამდე აყვანაში პაოლო იაშვილს, როგორც რედაქტორსა და მისტიფიკატორს, ოღონდ ისიც ნათელია, რომ პირველადი მასალა ეპუთვნის ელენე ბაქრაძე-დარიანს.

რედაქტორის მძლავრი ზეგავლენა ეტყობა დარიანულის სხვა ნიმუშებსაც, განსაკუთრებით

კი ისეთებს, როგორიცაა „ცისფერი ქოლგა”; „დარიანული” და სხვ.

პაოლოსეული რედაქტირება იგრძნობა „ცისფერ ქოლგაში”. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას ცისფერყანწელთა სარითმო თეორიაზე. ისინი „უშნო” ქართულ გვარსახელურ სინტაგმებსაც კი ალამაზებდნენ და „იტალიურ” ყაიდაზე წარმოთქვამდნენ (ტიტიკო – ტიციანი, პავლე – პაოლო, კოლია – კოლაუ...) და, რაღა თქმა უნდა, ესთეტიზაციის მერანს სადაცეს ვერ დაუჭერდნენ რითმის ძიებისას. ამ თვალსაზრისით ერთობ საგულისხმოა იაშვილის მეცადინეობა, ელენე ბაქრაძის ლექსი-დედანი რითმულად კათილხმოვანი გახადოს. გარდა ამისა, როცა პოეტ ქალს I-III ტაეპები ურითმოდ დაუტოვებია, ისიც კი გაურითმავს. აქვე წინასწარ შევნიშნავთ: სუსტი, არათანხმიერი სარითმო წყვილედი არაერთგან გაუძლიერებია, დაუზუსტებია, ფონიკურად სულ სხვა დონეზე აუყვანია.

განვიხილოთ დედნისა და ნარედაქციები ტექსტის პირველი პოეტური აბზაცი.

დედნისეული პირველი სტროფი ამგვარია:

მინდა გიამბო სოფლის ამბავი  
და შენ დაჟკოცნი ამ ტუჩებს კიდევ;  
ცას აზიდულან ჩვენი ვერხვები,  
მზეს უგზავნიან ჩემს ლოცვას ისევ.

გხედავთ: I-III სარითმო წყვილედი არ გამო-  
ვიდა – ამბავი – ვერხვები; II-IV წყვილედიც  
სუსტი, უმწეო რითმაა: კიდევ – ისევ.

პაოლო იაშვილმა ბრწყინვალე რითმები მოი-  
ფიქრა: მოგიყვები – იხვები; კიდეს – კიდეც.  
აი, მისეული ვარიანტი:

მე სოფლის ამბებს შენ მოგიყვები  
(შენ რომ პკოცნიდი ტუჩების კიდეს);  
ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,  
რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.

ახლა სხვა აუცილებელ სწორებათა შესახებ.  
სოფლიდან შორს მყოფ ადრესატს როცა სო-  
ფელზე ესაუბრები, რა თქმა უნდა, ერთ ამბავს  
კი არ უყვები, არამედ არაერთს, ბევრს. ამიტომ

უმჯობესია პაოლოსეული ვარიანტი, როცა „მინდა გიამბო სოფლის ამბავი” ასე შეცვალა: „მე სოფლის ამბებს შენ მოგიყვები”. ბაქრაძისეული მეორე ტაქტი – „და შენ დაჲკოცნი ამ ტუჩებს კიდევ” რითმის გასაძლიერებლად ამგვარად გადასხვაფერდა: „შენ რომ ჰკოცნიდი ტუჩების კიდეს”.

უნდა პატიოსნად ითქვას: პაოლოს ხელში აზრობრივი ლოგიკა დაირღვა. და ეგ გამოიწვია რითმისადმი გამოდევნებამ. რითმის სიზუსტე კი მოდერნისტთა ბაზარზე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე აზრის სიზუსტე. შევადაროთ ერთურთს ელენესა და პაოლოს „ბმები”:

ელენე ბაქრაძე:

**მინდა გიამბო სოფლის ამბავი**

**და შენ დაჲკოცნი ამ ტუჩებს კიდევ.**

აქ აზრობრივ-ლოგიკური „ბმა” ბუნებრივია. პაოლოს ვარიანტში ეგ „ბმა” დაირღვა, დამახინჯდა:

**მე სოფლის ამბებს შენ მოგიყვები**

(შენ რომ პკოცნიდი ტუჩების კიდეს).

ფრჩხილებმა თითქოს საქმე გამოასწორეს, ოდონდ სანახევროდ. „ბმის” მანკი მაინც საგრძნობია! სამუქფოდ, როგორც ითქვა, ეგ ნაკლი ბრწყინვალე რითმებმა გადაფარეს: **მოგიყვები – იხვები; კიდეს – კიდეც.**

ერთ წერილში ბაქრაძე წუწუნებს: პაოლომ ჩემი ლექსების ზოგი ეროტიკული ელემენტი უფრო წინ წამოწია, უფრო მძაფრად გამოხატაო. ეჭვი არ გვეპარება, ეს საყვედური სწორედ მომდევნო სწორებას გამოუწვევია. პოეტ ქალს ეწერა:

ცას აზიდულან ჩვენი გერხვები,  
მზეს უგზავნიან ჩემს ლოცვას ისევ.

მშვენიერი ცისფერყანწული ტაეპებია, სადაც მიწას მოწყვეტა და ცაში რიალია მთავარი გზაგნილი. ეროტიკულად სრულიად ნეიტრალური ეგ ტაეპები იაშვილს სოფლიდან აღებული კოლორიტული ფრინველებით – იხვებით – და

მათი ეროტიკული სცენის წარმოჩენით (პეპლაობით) შეუცვლია:

ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,  
რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.

ეჭვი არაა, განათლებული საზოგადოება სწორედ ეროტიკული საწყისის წინ წამოწევასა და სქესობრივი მომენტების ქალის თვალთახედ-ვით დანახვა-შეფასებას ელოდა. სწორედ ეს გა-უთვალისწინებია რედაქტორსაც. მართალია, ამ-გვარი სტრიქონები 1920-იანი წლების საზოგადო-ების უდიდესი ნაწილის მძაფრ რეაქციას გამო-იწვევდა, ოღონდ მოდერნისტებს ამგვარი სკანდა-ლი კიდევაც აინტერესებდათ.

გადასხვაფერებულ ორ ტაეპში ფაქიზად არის სიტყვა გადაკრული იმაზე, რომ ავტორი-ქალბატონი სწორედ სქესობრივ ფაქტს აქცევს ყურადღებას, ის უფრო ხვდება თვალში, ვიდრე მოშრიალე ვერხვები და მზესთან გაგზავნილი ლოცვები.

გადავიდეთ მეორე ხანაზე.

მწერალი ქალი I-III ტაეპების ნორმალურ რითმას პოულობს: **გვრიტები** – ნაიმედები, ოდონდ II-IV ტაეპების სარითმო კეთილხმოვნების მიღწევას ვედარ ახერხებს და უმწეო შეხამებასა სჯერდება: **დანაგარდობენ** – დარდები. პაოლოსეული რითმები ბრწყინავენ და ელვარებენ: **მტრედები** – ნაიმედები; **ნისკარტებით** – ვარდებით.

მაგრამ არის სხვა გაუმჯობესებაც.

შემომეჩვივნენ ჩუმად გვრიტები,  
ჩემს მხრებზე მკვირცხლად დანაგარდობენ.  
მათი ჟღმურტულით ნაიმედები,  
აღარ მაწუხებს მძიმე დარდები.

რა თქმა უნდა, ძირითადად რუსულად განათლებული და რუსულენოვან გარემოში მყოფი ქალი ბევრ ეპითეტს ან განსაზღვრებას სწორად ვერ აღიქვამს. ეს ბუნებრივი ამბავია. I ტაეპში ბგერწერა კარგია – „შემომეჩვივნენ ჩუმად”, ოდონდ აზრობრივად მიუღებელია **გვრიტების ჩუმად შემოჩვევა**. ჩუმი, წყნარი, სათნო გვრიტი

გასაგებია, ოდონდ „ჩუმად შემოჩვევა” – ნონსენსი. თანაც გვრიტი გარეული ფრინველია. ადამიანს უფრო იოლად ეჩვევა მტრედი. ამიტომაც პაოლო სწორად ირჯება, როცა ტაქტის ასეთ ვარიანტს იძლევა: „შემომეჩვივნენ ჩუმი მტრედები”. ეს უკვე გამართული ფრაზაა, თანაც გრამატიკულად სწორი. მტრედი ჩუმია, უხმაუროა, სიმშვიდის განსახიერებაა. ალიტერაცია იგივე დარჩა: „შემომეჩვივნენ ჩუმი”. „ჩემს მხრებზე მკვირცხლად დანავარდობენ” შეიცვალა უფრო ცისფერი, უფრო მოღერნისტული ტაქტით: „თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტზე. როგორც ცისფერი ყანწები შეიძლება არსებობდეს წარმოსახვაში, ისე – ლურჯი ნისკარტებიც. მაგრამ აქ სხვაც რამე იქცევს ყურადღებას – ესაა მცირე ეროტიკული ელემენტის კვლავ შემოტანა ლექსში: მტრედების მიერ ქალის მშვენიერი თმების ნისკარტებით გახილვა ერთგვარ ეროტიკულ ფიქრებსა ბადებს. ესეც ფაქტი მინიშნებაა ვნებიანი ქალბატონის ნამდვილ შინაგან წუხილზე.

**მათი ჟღმურტულით ნაიმედები,  
აღარ მაწუხებს მძიმე დარდები.**

ჯერ ერთი, გვრიტები გვრიტინებენ ან მტრე-  
დებივით დუღუნებენ. ჟღურტული ახასიათებს ბე-  
ღურებს. პაოლომ ეგ შეცდომა გამოასწორა. მეო-  
რეც, შემოიტანა ცისფერყანწური ცნება „სველი  
ვარდები”:

**ამ სიყვარულით ნაიმედები  
თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.**

მაშასადამე, სოფლის ამბებს იქაური სველი  
ვარდების ამბავიც შეემატა.

ამ სტროფში პაოლომ სხვა ხარვეზიც აღმო-  
აჩინა: პირველ ტაეპში ნათქვამია, შემომეჩვივნე-  
ნო ჩუმი გვრიტები; მესამეში ეგ **სიჩუმე** ინგრევა:  
„მათი ჟღმურტულით ნაიმედები”. **სიჩუმე** და  
ჟღმურტული წინააღმდეგობრივი მონაცემებია.

მესამე სტროფში პოეტი ქალი მშვენიერ სა-  
ხეებსა ქმნის. ამ თვალსაზრისით პაოლო დიდს  
ვერაფერ უკეთესსა ვერ გვთავაზობს, ოდონდ მა-

ინც ახერხებს მეტი დრამატიზმი შემოიტანოს დაპირისპირებების გაჩენით: ვაჟა-ფშაველა უპირისპირდება ედგარ პოს და ეგ ქართულ პატრიოტიზმად აღიქმება; ამავე დროს, არის დაპირისპირება დღესა და საღამოს შორის.

ბაქრაძე წერს:

ვგითხულობ ვერლენს, ვგითხულობ პოეს,  
შენგან მოველი წიგნს დანაპირებს;  
ზურგზე ხელს ვუსვამ პატარა ხბოებს,  
შემდეგ წყაროზედ ვიხეხავ თითებს.

პაოლო უსწორებს:

ვგითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს,  
ვნატრობ სუსნიან მწარე ამინდებს;  
ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს  
და საღამოზე ვიფერავ თითებს.

მეოთხე ხანაც რითმის გაუმჯობესებით იქ-  
ვევს ყურადღებას. ელენესეული სოკოს – გო-  
დორს მეტად შორეული რითმაა. პაოლომ უკეთე-  
სი იპოვა: სოკოს – გოგოს.

ბაქრაძის მიერ არჩეული მოქმედებათა თანა-  
მიმდევრობა უფრო ბუნებრივია:

გაზს შევუჯდები და მტევანს ვპიკნი,  
ტყეში დავდივარ, დავეძებ სოკოს,  
ხან მაჭარს დავლევ ხის თლილი ჭიქით  
და ვეზიდები ყურძნიან გოდორს.

ძალიან კარგია: „გაზს შევუჯდები”, ასევე „მტევანს ვპიკნი”. მოქმედების ინტენსივობას კარგად გამოხატავს „ტყეში დავდივრ, დავეძებ სოკოს”; ასევე მშვენიერია „ხან მაჭარს დავლევ ხის თლილი ჭიქით”. ამ ტაეპების შეცვლისას პა-ოლოს უფრო მეტი დამაჯერებლობა ვერ შემო-აქვს. მისი მონაცვალე ტაეპები ხელოვნურის შთაბეჭდილებასა ქმნის. ერთადერთი, რასაც იგი ლამობს, ესაა ფერადების შემოტანა. პაოლომ ეგ სტრიქონები სხვადასხვა კოლორით შეღება. ერ-თი სიტყვით, ბუნებრიობა და ლადი თანმიმდევ-რობა დააგდო და ხელოვნურ, თუნდაც ყალბ, მაგრამ მაინც მოდერნიზმსა სცა თაყვანი. აი, ამისი დასტურყოფა:

ვწოვ ყურძენს, ოოგორც მკივანა ბზიკი,  
ტყეში გნახულობ მე წითელ სოქოს;  
ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ მრგვალი ჭიქით.

მაშ, ასე: ლექსში შემოვიდა ფერები – წითელი და მღვრიე. ამავე დროს, პაოლოს მხედველობიდან გამოეპარა პოეტი ქალის ფარული ალიტერაცია, დამყარებული გამეორებაზე ბგერათკომპლექსისა „და“. სტროფში ეგ და გამეორდა ხუთგზის: და, დავდიგარ, დავეძებ, დავლევ, და. სამაგიეროდ, პაოლომ შემოიტანა შედარება: „ვწოვ ყურძენს, ოოგორც მკივანა ბზიკი“; აქვე, ამ ტაქპში, ორი საინტერესო ბგერწერაა: „ვწოვ ყურძენს“ და „მკივანა ბზიკი“. და, რაც ყველაზე საყურადღებოა, სოფლის კოლორიტია დაცული ბოლო, მეოთხე, ტაქპში მოცემული შედარებით, რაც საერთოდ არაა ელენეს ნახელავში.

**ხან ვგავარ სოფლის მკერდსაგსე გოგოს.**

ვფიქრობ, სოფლის ამბებს სისრულესა და სიმართლეს მატებს ის, ინტელიგენტი ქალბატო-

ნი, მყოფი სოფელში, ზოგჯერ რომ დაემსგავსება სოფლელ მკერდსავსე გოგოს. ამავე დროს, აქაც მნიშვნელოვანია პაოლოს წადილი: ლექსმა „უფრო მეტად გამოხატოს ეროტიკა. „მკერდსავსე გოგო” ამ წადილის აღსრულება გვგონია.

შემდეგ მოდის ბოლო, დამაგვირგვინებელი, ხანა. ბაქრაძისეული ტექსტი მშვენიერია:

**წვიმიან დღეში სიმინდის ტარო  
მე მომაგონებს არგვეთის ცუდ დღეს;  
ჩამომადგება ლამე უმოვაროდ  
და ოჭვით სავსე აზრი მახუცებს.**

ადრესანტის ეჭვი და ურვა გასაგებია: რაკი სატრფო წერილსა და წიგნს უგვიანებს, ეჭვი დრღნის. განცდა აქ სიგულწრფელით გამოირჩევა, ოღონდ თავს იჩენს ქართულის კარგად ვერ-მცოდნის შეცდომა – „ჩამომადგება ლამე უმოვარო”. ასეთი ზმნა – ჩამომადგება – ქართულმა ენამ არ იცის. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ერთი შესანიშნავი სარითმო წყვილი (ტარო –

**უმთვარო**) და მეორე უმწეოზე უმწეო (დღეს – **მახუცებს**).

პაოლო რისი პაოლო იქნებოდა, თუ ამ ნაკლს არ დაძლევდა. მან ბაქრაძის შესანიშნავი რითმა დატოვა (**ტაროს – უმთვაროს**), ხოლო უმწეო რითმა შეცვალა გაცილებით უკეთესით: **უცებ – ვახუცებ**. პაოლომ ისიც მოახერხა, რომ **ტაროს – უმთვაროს** წყვილეულს ამ რიგის მესამე რითმაც მიასამა: სიმინდის **ტაროს**, და ლამაზ **ტაროს**, ლამეს **უმთვაროს**. პაოლოს სტროფში მაინც ემოციითა და ესთეტიკით გვაოგნებს მეორე პწყარი: „და ლამაზ **ტაროს** ვაკოცებ უცებ”, რასაც, რა თქმა უნდა, ელენე ბაქრაძე ვერასოდეს მოიფიქრებდა:

**წვიმაში ვარჩევ სიმინდის **ტაროს**  
და ლამაზ **ტაროს** ვაკოცებ უცებ,**

**მერე კი გათევ დამეს უმთვაროს  
და იჯვით სავსე გულს არ ვახუცებ.**

უმთავრესი, რის თქმასაც ეგ სტროფი გვაძალებს, ეგაა: პაოლოს აქაც დაჟინებით შემოაქვს ეროტიკის ელემენტი. ელენე ბოლო, დამაგვირგვინებელ, კადენციას ნეიტრალური განცდით ასრულებს. იაშვილს ამ ბოლო ხანაშიც შემოაქვს ეროსის ელემენტი – კოცნა: „და ლამაზ ტაროს ვაკოცებ უცებ”. იგულისხმება, რომ „ლამაზი ტაროც” კი მანდილოსანს, მკერდსავსე სოფლის გოგოს დამსგავსებულს, წამიერად მაინც მამაკაც სატრფოს წამოაგონებს.

მალიან კარგად ჩანს რედაქტორის ხელი „დარიანულში”. ელენე ბაქრაძის ლირიკული იდეა საინტერესოა: აიგოს ალიტერაციული ლექსი გამეორების პრინციპით. რაველის „ბოლგროს” მსგავსად დატრიალდეს ერთი ჰანგი, ერთი მოტივი და გამეორდეს თანამიმდევრულად. ეს მიზანი პოეტმა ქალმა კიდევაც განასახიერა და შეთხება შესანიშნავი ქმნილება, რომელიც ისე-დაც კარგი გახლდათ, ოდონდ ახლა ვნახავთ, რა

შეძლებია უფრო დიდი ოსტატის ჯადოქრულ  
ხელს. სულ მცირე შესწორებაც კი ზოგჯერ ალ-  
მასს ბრილიანტად აქცევს. ბრილიანტი კი დირ-  
სებით ალმასისაგან დიდად განსხვავდება. ლექ-  
სის თავისებურებას ქმნის ის, რომ დიდი ცეზუ-  
რა 15 მარცვლიან ტაეპს ორ არათანაბარ ნაწი-  
ლად ყოფს: 8+7. პოეტ ქალსა ჰქონდა:

დამედალა მაჯა მარჯნის // მძიმე ჯაჭვის  
ტარებით,  
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა // ცხელ პირის  
მიკარებით.

პაოლომ მცირე კოსმეტიკური ოპერაცია ჩაა-  
ტარა: **დამედალა** შეცვლა სიტყვით **დაიტანჯა** და  
ფონეტიკურ-აკუსტიკური სურათი სრულიად შეც-  
ვალა: ქმნილებამ სიყვარულით განაწამები ადა-  
მიანის **ტანჯვა** მყისვე გამოკვეთა:

**დაიტანჯა** მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით...

სულ სხვა ესთეტიკური კატეგორიაა „**დაი-  
ტანჯა მაჯა**”, ვიდრე არის „**დამედალა მაჯა**”.

ერთი ტაეპი პოეტ ქალს ასე გაუმართავს:

ცრემლი ბლომად დამეღვარა ერთ ლამის ნეტარებით.

აქაც მცირე ცვლილება და ტაეპი ათასწილ  
მოგებიანი და კიდევ მეტად აბგერწერებული გა-  
მოვიდა, თანაც ტანჯვა კიდევ მეტად გამოიკვე-  
თა:

ბევრი ცრემლი დამეხარჯა ერთ ლამის ნეტარებით.

ჯერ ერთი, „დამეხარჯა” სიტყვაში ბოლო  
ალიტირებულია ლექსის სხვა სიტყვებთან: დაი-  
ტანჯა, მაჯა; დავაკვირდეთ: არჯა – ანჯა – აჯა.  
ეს ერთი. მეორეც, ელენესეული „ცრემლი ბლო-  
მად” არავითარ ასონანსს არა ქმნის, ხოლო  
„ბევრი ცრემლი” ასონანსური რითმაც კი გამო-  
დის: ეგრი – ემლი.

ამ ლექსისთვის პაოლოს გარდაცვალების  
შემდეგ ელენე ბაქრაძეს მიუწერია გაგრძელება:

შენ კი გული დაგეღალა ამდენის შედარებით  
(ნუ მომიწყენ, კვლავ მიიღე უშნოდ ნაქარაგმები);

ჩემი გრძნობით უწინდებულს ვეღარ შევედარები,  
აზრის წმინდა სამფლობელომ დამიკეტა კარები.

აქაც დაცულია 15 მარცვლიანი საზომი, ცე-  
ზურით პარცელირებული ასე 8+5, ოღონდ ის ძა-  
ლა აღარ შერჩენია, რაც ადრეულ ტაგპებს. ამას  
აქვს ორი ახსნა: 1. პოეტი ქალის ნიჭი და უნარი  
ამოიწურა, თანაც დაბერდა; 2. უკვე აღარ ჰყავს  
მძლავრი რედაქტორი, რომლის ჯადოქრული ხე-  
ლი კიდევ უფრო დახვეწდა და გაამშვენიერებდა  
მის ნათქვამს.

დარწმუნებული ვართ, სხვა დარიანული ქმნი-  
ლებების ამგვარი გამოწვლილვითი პოეტურ-სტი-  
ლისტური ანალიზი თვალნათლივ დაადგენს  
ჩვენს საბოლოო სათქმელს: ზოგიერთი დარიანუ-  
ლი ლექსის დედანი ნამდვილად ეკუთვნის ელე-  
ნე ბაქრაძეს. მათ პაოლო იაშვილის (შესაძლოა  
სხვებისაც) რედაქტორული ხელი ატყვია. ამიე-  
რიდან დარიანულ ციკლს უნდა მიეწეროს ორი  
ავტორის სახელი. ჩვენი გამოკვლევის საბოლოო  
ფორმულა კი ასეთია:

**ელენე ბაქრაძე + პაოლო იაშვილი = ელენე დარიანს!**

ბაია გივის ასული ბასილაძე  
ტელეფონი: 511 16 11 02



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

